ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№70 (1508) 23–26 დეკემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## 19 მწარე შეკითხვა ბ-ნ ნუგზარ ფოფხაძეს

მეორე გვერდი



## ისე გიცხონდა ცხვირი „გიგანტო"...

**რ.ამაშუკელის მორიგი „მარგალიტების" გამო**

მესამე გვერდი

**შედგება მასწავლებელთა ატესტაციის ტესტების საჯარო განხილვა**

ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, 15 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში (I კორპუსი) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის ინიციატივით შედგება ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა ატესტაციის ტესტების საჯარო განხილვა.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

## ტესტი პედაგოგთა ატესტაციისთვის

მეექვსე გვერდი

*XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის*

## გალაკტიონ ტაბიძე

მეხუთე გვერდი

## ბაზრის გაბაზრებული ამბავი და უკანონობით გაბეზრებული ადამიანები

მეოთხე გვერდი

მომდევნო ნომერში:

## ნუგზარ ფოფხაძის პასუხები

● ვინ იყო ვინ?

# 19 მწარე შეკითხვა ბ-ნ ნუგზარ ფოფხაძეს

საქართველოში ცენტრალური კომიტეტის მდივნები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ბევრი მათგანის გვარსა და სახელს ახლა მხოლოდ ცეკას იმდროინდელი მუშაკები თუ გაიხსენებენ.

ნუგზარ ფოფხაძის გვარ-სახელი კი 80-იანი წლებიდან მოყოლებული მუდმივი სკანდირების ობიექტი იყო.

ტელევიზიის ხელმძღვანელი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში, და ეს თანამდებობები მაშინ, როცა ეროვნული მოძრაობა აზვირთებული იყო და ყოველი მიტინგი თუ შეკრება, ფაქტიურად, სწორედ დიდი ჩინოვნიკების „ლოცვა-კურთხევით" იწყებოდა და მთავრდებოდა.

შემდეგ კი ფოფხაძე ერთბაშად აღმოჩნდება ჩრდილში. 1990 წლიდან უზენაესი საბჭოს სესიებზე დრო და დრო თუ გაიხსენებს მას ზვიად გამსახურდია კრემლის აგენტების უკვდავ ტრიადაში - „შევარდნაძე-ფოფხაძე-მგელაძე".

თვით ფოფხაძისგან აგერ უკვე 7 წელია ჩამიჩუმი არ ისმის. არც საჯარო გამოსვლა, ჟურნალისტთა დიდი ინტერესის მიუხედავად, არცერთი ინტერვიუ არ მიუცია პრესისათვის. მისი მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგაც ჟურნალისტების მცდელობა ამაო გამოდგა, რაიმე დაეცდენინებინათ სამთავრობო სამზარეულოში ყველაზე მეტად ჩახედული პირისათვის.

ჩვენმა რუბრიკამ „ვინ იყო ვინ?" „მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის" ნუგზარ ფოფხაძესთან მიგვიყვანა...

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მისთვის არცთუ სასიამოვნო კითხვების მიუხედავად, ჩვენი გაზეთისათვის ბატონი ნუგზარი პირველად ალაპარაკდა, რაც რედაქციისაგან მადლობის გრძნობით იქნა აღქმული.

მომდევნო ნომრიდან ჩვენს მკითხველებს საშუალება ექნებათ წაიკითხონ 7 წლის დუმილის შემდეგ ნუგზარ ფოფხაძის პასუხები ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე.

ეს ერთობ საინტერესო იქნება, მით უფრო, რომ ახლახან დასრულდა საუბრები ჯუმბერ პატიაშვილთან. პატიაშვილი და ფოფხაძე კი, მოგეხსენებათ, ერთი და იგივე მოვლენების ცენტრში იმყოფებოდნენ.

1. მას შემდეგ, რაც შვიდი წლის წინათ საქართველოში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდით, საჯაროდ არსად არ გამოსულხართ. ქართული პრესისთვის არ მიგიციათ არცერთი ინტერვიუ. თქვენი ენერგიის კაცი ძნელი დასაჯერებელია, რომ „განდეგილობის" რელიგიურ სურვილს შეეპყარით. რით ახსნით ასეთ დუმილს?

2. მიტინგებზე ზგამსახურდია პრეზიდენტობამდელ დროშიცა და პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც ხშირად გიხსენებდათ „კრემლის აგენტების" მთავარ ტრიადაში „შევარდნაძე-მგელაძე-ფოფხაძე". ეს მძიმე ბრალდება ითხოვს პასუხს და საერთოდ, რა ურთიერთობა გქონდათ ზგამსახურდიასთან და რასთან იყო დაკავშირებული უშუალოდ თქვენი წინადადება, მისი სახალხო ფრონტის შექმნის საინიციატივო ჯგუფში შეყვანას რომ ეხებოდა?

3. პირველი მდივნობის დროს ჯ.პატიაშვილი ებრძოდა თუ არა შევარდნაძეს?

4. მკითხველს შევახსენებთ 1988 წლის ნოემბრის აქციებს: ახალგაზრდები შიმშილობდნენ იმის გამო, რომ კრემლმა განიზრახა კონსტიტუციიდან ამოეგდო რესპუბლიკებისათვის სსრკ-დან გამოყოფის იურიდიული უფლება ფაქტობრივად. ცხადია, ამ უფლებას ისედაც ვერავინ იყენებდა. ოცდაექვს თუ ოცდაშვიდ ნოემბერს, ღამით, კინოს სახლში გამართულ სტუდენტთა და ინტელიგენციის შეკრებაზე, რომელიც ამ აქციის დაშლა-არდაშლის საკითხს განიხილავდა, ბ-ნმა ე.შენგელაიამ ბ-ნ ზგამსახურდიას განუცხადა - ველაპარაკე ნ.ფოფხაძეს, ითხოვს აქციის დაშლას და გარანტიას იძლევა, რომ კონსტიტუციაში აღნიშნული მუხლი დარჩებაო. თავის მხრივ დასძინა, რომ თქვენ ეს საკითხი შეთანხმებული გქონდათ გორბაჩოვთან. რას იტყვით ამ აქციის შესახებ, რა ხდებოდა სამთავრობო კულუარებში? იმჟამად უსისხლოდ გადავრჩით და გამოყოფის შესახებ არსებული მუხლი კონსტიტუციაში კვლავ დარჩა.

5. 1989 წ. 8 აპრილს გაიმართა ინტელიგენციისა და პარტაქტივის ცნობილი შეკრება. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ შეკრებაზე ტაშით შეხვდნენ გენერალ კოჩეტოვს და ხელისუფლებას მოსთხოვეს ქუჩაში მიმდინარე „უმსგავსობის" აღკვეთა. რას გვეტყოდით ამ შეკრებასთან დაკავშირებით?

6. ჯ.პატიაშვილმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა: „რაც შეეხება იმ „გუნდს", რომელთანაც 9 აპრილამდე ვმუშაობდი და ვისაც უნდა გაეზიარებინა პასუხისმგებლობა მომხდარ ტრაგედიაზე, თითოეული მათგანის შემდგომმა დაწინაურებამ თვალნათლივ დამანახა, თუ ვისი ყოფილა სინამდვილეში ეს „გუნდი".

საზოგადოებამ იცის, რომ 9 აპრილამდე არსებობდა პატიაშვილ-ნიკოლსკი-ფოფხაძის გუნდი. თანხმობა იყო თუ არა თქვენს შორის, ხოლო თუ იყო უთანხმოება, რა საკითხებზე?

7. ჯ.პატიაშვილი ასევე ამბობს, რომ გეგმა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის განთავისუფლების შესახებ, რომელიც მოწონებულ იქნა 8 აპრილის აქტივის კრებაზე, შედგენილია ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების მიერ. იდეოლოგიურ განყოფილებას კი ხელმძღვანელობდით სწორედ თქვენ - ნუგზარ ფოფხაძე.

8. დადის ხმები, და ეს ბატონმა ჯუმბერმაც არ უარყო, რომ 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის დროს იგი ხალხში გასვლას ცდილობდა, მაგრამ არ ურჩიეს. მართალია თუ არა ეს და თქვენ ვალდებული იყავით თუ არა, მისთვის ზუსტად გათვლილი რჩევები მოგეცათ?

9. 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა გუმბარიძე-ნიკოლსკი-ფოფხაძის გუნდი. გ.გუმბარიძე მანამდე იყო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, თქვენ კი ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში. რატომ არ მოხდა 9 აპრილის გამო პასუხისმგებლობის გადანაწილება თქვენზეც?

10. შეიძლებოდა თუ არა 9 აპრილის თავიდან აცილება და თუ შეიძლებოდა, ვის ან რა ძალას შეეძლო ამის გაკეთება?

11. დიდი დისკუსია მიმდინარეობს იმის შესახებ, ჩამოფრინდა თუ არა 8 აპრილს შევარდნაძე. ამის შესახებ ლებედიც წერს თავის წიგნში, ხოლო ჯ.პატიაშვილი სპეცთვითმფრინავის ჩამოფრენის ფაქტს ადასტურებს, ოღონდაც ვინ იჯდა მასში, არ იცის. თქვენ რა იცით ამის შესახებ?

12. ხედავთ თუ არა რაიმე ლოგიკას 9 აპრილის მომდევნო დღეებში სისხლისსმელად გამოცხადებული ჯ.პატიაშვილის ბრძოლაში პრეზიდენტის სავარძლისათვის და წარმოიდგენდით თუ არა სიტუაციის ასეთ ტრანსფორმაციას შვიდი წლის წინათ?

13. საერთო აზრია, რომ „მრგვალ მაგიდაში", ისე როგორც საერთოდ ეროვნულ მოძრაობაში, უამრავი სუკის აგენტი იყო. მათი შეგზავნა იყო თუ არა სამომავლოდ გათვლილი აქტი, ანუ ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისათვის გამიზნული ქმედება. მომხდარ პროცესებზე ეკისრებათ თუ არა პასუხისმგებლობა ამის ჩამდენთ?

14. ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ბრალს დებდა ამა თუ იმ კოლეგას სუკ-ის აგენტობაში. ამის ერთ-ერთი საფუძველი გახლავთ იმ დროს ტელევიზიით ნაჩვენები ეროვნულ მოძრაობის ლიდერთა დახურული შეკრების ჩვენება, სადაც იყო შუბლის გახვრეტით მუქარაც. როგორ აღმოჩნდა ეს „საიდუმლო" ფირი ტელევიზიის ხელში?

15. იყო თუ არა ს.ხაბეიშვილი დასაჭერი. და თუ იყო, რომელი არ იყავით მისი ბედის გაზიარების ღირსნი? რამ გამოიწვია სწორედ მისი ბედის ასე უკუღმა ტრიალი?

16. რას მოღვაწეობდით მოსკოვში ზგამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

17. არსებობს აზრი, რომ თქვენ საქართველოს პრეზიდენტის ნდობით სარგებლობთ, ისევე როგორც ნდობით სარგებლობდა ტრაგიკულად დაღუპული ს.ხაბეიშვილი. ამჟამად, ისევე, როგორც იგი, ბრძანდებით „აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის" პრეზიდენტი. არ გეშინიათ?

18. თქვენი ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში გადაიღეს „მონანიება". იგი ზემოდან ნებართვით იქნა გადაღებული და ასევე ზემოდან წამოსული ბრძანებით აიკრძალა. ახლა ამ ფილმის შექმნის ისტორიაზე ბევრს დაობენ. ბევრი ზედმეტსაც მიიწერს. თვით სცენარის ავტორობის საკითხიც სადაო გახდა. ჩვენი ინფორმაციით, სცენარის ავტორი ნოდარ წულეისკირია, რომლის გვარი და სახელი ტიტრებზე არ წერია. სხვისა - კი. რას იტყვით ამ ფილმის გადაღება-აკრძალვასთან დაკავშირებით?

19. ნ.ფოფხაძე არ არის მხოლოდ ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი. თქვენს უკან დიდი გამოცდილება და პოლიტიკური ბრძოლების ქარტეხილებია. როგორია თქვენი ხედვა საქართველოს მომავლისადმი. გვეშველება რაიმე თქვენს ხელში?



# ვინ არის ჩვენი დუხჭირი ცხოვრების «არქიტექტორი?»

ნათქვამია - კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო. არადა, კაცმა ადამიანების ისტორიას რომ გადახედო, სიბრძნის წიგნია, რომლის მთავარი გმირები ჭკვიანი და უჭკუო, ღონიერი და უღონო, მშობლიური ქვეყნის ერთგული და მოღალატე პიროვნებები არიან. ზოგი მათგანი ქებას იმსახურებს, გამომდინარე თავისი საქციელიდან, ზოგიც - მათრახს. მაგრამ ასეთი ზუსტი და უტყუარი შეფასება მხოლოდ მოგვიანებით მოდის. მაშინ, როდესაც მათი ნაღვაწი კეთილ ან ბოროტ ნაყოფს გამოისხამს და იგი საერთო - სახალხო საკუთრებად იქცევა. მანამდე კი - ავი და კარგი ერთად სძოვს ამ დროს სიმართლის თქმა სასარგებლოა მხოლოდ იმათთვის, ვიზედაც სიმართლეს ამბობენ, მაგრამ მავნეა მისთვის, ვინც ამბობს, ვინაიდან ამით მხოლოდ მეორეში სიძულვილს იწვევს. მიუხედავად ამისა, თქმა მაინც ვამჯობინე, რადგანაც ძალიან მაწუხებს ჩემი ოჯახის, ხალხის, სამშობლოს ბედი და დღესვე მსურს ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ და ვიზეც გაცილებით ზუსტად, მწარედ და უფრო მეტს იტყვის ჩვენი მომავალი.

განა სიახლეა, რომ დღეს საყოველთაო სასოწარკვეთაა, ყველგან და ყველაფერში იგრძნობა განუკითხაობა, სილატაკე, უმუშევრობა, მოშლილი ეკონომიკა, საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა და მრავალი სხვა ავადმყოფობა. არსებული კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრიობის კრიზისია და ყველამ იცის ცენტრალიზებული მმართველობის რღვევას რა ქაოსი და განუკითხაობა მოჰყვა და ყველა იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა და გამკითხავი არავინ იყო. არავინ არაფერზე აგებდა პასუხს. შედეგიც სახეზეა: ვისაც არ ეზარება, თანაც თუ ოდნავ მარიფათი და თავხედობა მოსდევს, დაუნდობლად ძარცვავს მეზობელს, თანამომძმეს, სტუმარსა თუ სახელმწიფო ხაზინას. გაიძარცვა ქარხნები, სატრანსპორტო საწარმოები, აგროკომპლექსები, მუზეუმები - მოკლედ, ყველაფერი, საიდანაც თუნდაც რაიმე თითზე გადასახვევის წაღება შეიძლებოდა. ამას ჩადის (უმცირესი გამონაკლისის გარდა) დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო. დემოკრატიად შერაცხულმა ანარქიამ და ქაოსმა ფასი დაუკარგა ისეთ მარადიულ ცნებას, როგორიცაა პატიოსნება. ყოველივე ამის გამო, ერის მოაზროვნე ნაწილში ნიჰილიზმმა, უიმედობამ დაისადგურა - „არაფერიც არ გვეშველება"-ო.

ჩვენი უბედურების ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ნუსხას ბოლო არ უჩანს და არც გვახსოვს, რომ ყოველი მიზეზის უკან კონკრეტული დანაშაული, უვიცობა, არაპროფესიონალიზმი ან ელემენტარული უსინდისობა დგას. რომ ამისათვის პასუხი უნდა აგოს ნებისმიერმა ადამიანმა, განურჩევლად დაკავებული თანამდებობისა, ვინც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ ეს მარტივი ჭეშმარიტება ჰაერშია გამოკიდებული და შედეგიც თვალწინაა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ფულად-საკრედიტო ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფომ ჩვენს სინამდვილეში განახორციელა. დღესაც მიდის ბჭობა ამ მიმართებით და ურიგო არ იქნებოდა, თუ საქმე და, როგორც იტყვიან, „ძაღლის თავი" სად არის დამარხული?

გადავხედოთ ახლო წარსულს და მოვიშველიოთ ზოგიერთი დასკვნა. აი, რას ამტკიცებდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბატონი რ.შავიშვილი:

„კონტროლის პალატის მიერ შემოწმდა: გამოყოფილი 400 მილიარდი კრედიტიდან 109 მილიარდი და აქედან დანიშნულებისათვის ე.ი. პროდუქტების შემოსატანად გამოყენებული იყო მხოლოდ 8.0 მილიარდი (ე.ი. შემოწმებული თანხის 0,07 პროცენტი), დანარჩენი თანხა კი მოხვდა რესპუბლიკის უნაღდო არხებში და დაიწყო ბრუნვა რესპუბლიკაში. ეს იყო დაუსაქონლებული ფული, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ღარიბ ბაზარს და გამოიწვია კატასტროფული ინფლაცია და ასევე კატასტროფული შედეგი იმ „სანაქებო" ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა, რომელსაც ეროვნული ბანკი და კერძოდ მისი პრეზიდენტყოფილი ახორციელებდა" (გაზეთი „საქართველო" №39, 1993 წ.). სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაცემებით: „ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა, არის პოლიტიკა, მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ. პოლიტიკა, რომელსაც სახელად უფრო მეტად ეკონომიკური დივერსია მოუხდებოდა"-ო (გაზეთი „7 დღე" №40, 5-11 ნოემბერი, 1993 წ.). შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველო გვამცნობს: „...ეროვნული ბანკის რესურსებიდან გაცემული კრედიტების ძირითადი მასა (90 პროცენტზე მეტი) სხვადასხვა მაქინაციებით მოხვდა კერძო სექტორში და იგი გამოიყენეს არა პროდუქციის, არამედ ვალუტის შესაძენად" („საქართველოს რესპუბლიკა" 01 დეკემბერი, 1993 წ., №254 (712)), ხოლო რესპუბლიკის პროკურატურა ადასტურებს: „...მოგებულნი დარჩნენ საქმოსნები, იზარალა კი სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი მოსახლეობამ, რომლის ხელშიც ფულის ნიშნები უვარგის ქაღალდად იქცა. ეს კი იმ საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა მცდარსა და დამანგრეველს" („საქართველოს რესპუბლიკა", 16 დეკემბერი, 1993 წ., №264 (792)). ვგონებ, ყველაფერი ნათელია და არ შეიძლება არ ისმინოს კაცმა ასეთი კომპეტენტური ორგანოების დასკვნა და აქ შეგვეძლო შეგვეწყვიტა საუბარი. მაგრამ საკითხავია, რა ხდებოდა შემდეგ, ზემო „საფეხურებზე?"

სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბატონი თ.სიგუა: „დვალიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად 1992 წლის ოქტომბერში დაინიშნა. იმ პერიოდში ეროვნული ბანკი უკვე ახლადარჩეული პარლამენტის და სახელმწიფოს მეთაურის დაქვემდებარებაში გადავიდა. დვალიშვილის დანიშვნის დღიდანვე ეროვნულმა ბანკმა უზომოდ დიდი სესხების გაცემა დაიწყო. იგი მეორე დღესვე გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე და განაცხადა რომ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მომხრე იყო და მას ედუარდ შევარდნაძე უჭერდა მხარს. ამ პერიოდისათვის ეროვნული ბანკისათვის დაწესებული ქვისია 140,0 მლნ მანეთს შეადგენდა და ექვს თვეში 326,0 მლნ მიაღწია. ეს კატასტროფა იყო. რადგან ეროვნული ბანკი მთავრობას არ ემორჩილებოდა, ჩვენ მათ საქმიანობაში ჩარევის არანაირი უფლება არ გვქონდა. 1993 წლის მარტში შემოდის პირველი ინფორმაცია მინისტრთა კაბინეტში შს სამინისტროდან, რომ ბანკში ცუდი ამბები ხდება. ამ საკითხის შესასწავლად მაშინვე ვნიშნავ სამთავრობო კომისიას და ირკვევა, რომ იქ მართლაც საშინელებები ხდება. სამთავრობო კომისია ადასტურებს, რომ ეს ეკონომიკის დაღუპვაა. ამის შემდეგ მივდივარ ედუარდ შევარდნაძესთან

გაგრძელება მე-6 გვ

# ისე გიცხონდა ცხვირი „გიგანტო“...

## (რ.ამაშუკელის მორიგი „მარგალიტების“ გამო)

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №69

ცნობილი მომღერალი ბობ დილანი, როგორც გაზეთ „ბომონდიდან“ რეზო ამაშუკელი გვატყობინებს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ მომღერლის პატივსაცემად გამართულ ვახშამზედ მხოლოდ 12 წუთს გაჩერებულა, რეზო ამაშუკელთან კი თბილისში მთელი ღამე უგრიალია და ფირფიტაც უძღვნია წარწერით – „გიგანტ რეზო ამაშუკელს“.

ეს ინფორმაცია, არც მეტი, არც ნაკლები, ისევ ამაშუკელს ეკუთვნის.

გახსოვთ, ალბათ, წინა ნომრიდან, პირველი პოეტი ვარო, ცა და მიწა რომ შეაჯერა. მან ახლა თავის გიგანტობაზე მიგვაქცევინა ყურადღება.

ამაშუკელის „გიგანტობისა“ ნამდვილად არა გვშურს, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტი გამოიყურება საცოდავად ამ ჩვენს გიგანტთან შედარებით – იმას 12 წუთზე მეტი ყურადღება არ აღირსეს, ამისთვის კი არც დრო დაიშურეს და სულ გიგანტო, გიგანტოო, უძახეს.

მაინც რა არის განგება. „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდა“ (წაიკითხეთ: ცხონებული ამაშუკელი და წაწყმედილი აშშ-ს პრეზიდენტი). ასე ცხონდა ამაშუკელი და წაწყდა ამერიკის პრეზიდენტი.

კიდევ კარგი, ამაშუკელის ინტერვიუს აშშ-ს პრეზიდენტი ვერ წაიკითხავს, თორემ გაბოროტებული შემოთვლიდა: ისე უცხონდა ცხვირი რეზოს, ეგ გიგანტი არ იყოსო.

ეს ხუმრობით, ახლა სერიოზულად. რა ჭკუის პატრონი უნდა იყოს კაცი, ისეთი მოცლილი რომ ჰგონია ამერიკის პრეზიდენტი, მთელი ღამე ჩაის ჭიქების ჭახუნში გაატაროს.

ეს დილანს კი არა, პრეზიდენტს არ ეცალა მეტი. გაიგე, გიგანტო!

ისე, კაცმა რომ თქვას, გიგანტური



საქმეები (თუ ამაშუკელს რაიმე დაეჯერება) მართლაც ჩაუდენია. კერძოდ, კითხვაზე – თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა, იგი პასუხობს – „ჩემი წვლილი სამოქალაქო ომის შეჩერებაში“–ო.

ახლა ამ გიგანტურ წვლილსაც მივადევნოთ თვალი.

აფხაზეთის ომის ბოლო დღეებია. ვმარცხდებით. გამსახურდიას მომხრეებმა ლამის მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავეს. ფრონტის ხაზი ქუთაისთან გადის.

ამაშუკელი კი თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დგას და გიგანტურად ბრდღვინავს, მოვიდეს ერთი გამსახურდია აქო.

შიგადაშიგ, შიშიც ეპარება, მართლა რომ მოვიდეს, ვინ დამიცავს მერე მეო და განწირული კივის: სად არის ქალაქის მერი. აქ ქალაქი დაუცველია, რა უნდა აფხაზეთში!

შე ცხონებულო გიგანტო, ქალაქის მერი, გაბაშვილი, აფხაზეთში იყო შევარდნაძის გვერდით, ბობ დილანთან ხომ არ ქეიფობდა. რა გაკივლებდა, თუ მაინცდამაინც, ქუთაისში ჩასულიყავი და იქაური საკონცერტო დარბაზიდან გეკივლა, ფრონტის ხაზთან ცოტა ახლოს მაინც იქნებოდი.

ასეთია ამაშუკელის გიგანტური წვლილი სამოქალაქო ომის შეჩერებაში, რაშიც მილიონობით ქართველი ტელემაყურებელი დამემოწმება.

კიდევ კარგი, ამაშუკელისაგან გაბითურებული აშშ-ს პრეზიდენტი არც „ბომონდს“ კითხულობს და ვერც ჩვენს ტელეგადაცემებს ნახულობს, თორემ განმეორებით შემოთვლიდა: ისე გიცხონდა ცხვირი გიგანტო, რაც შენ სამოქალაქო ომი არ შეგეჩერებინოსო. ის კი არა და, ამ ჩვენს გიგანტს იმ ომიდან გამოყოლილი შიში და ზაფრა კაი ხანს გამოყვა, ისე, რომ „ნაძალადევად“ გადახდილმა იუბილემაც ვერ გაუნელა...

ამაშუკელი წერს: „გასულ ზაფხულს, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, 60 წლის იუბილე გადამიხადესო“.

(ჩანს გიგანტური წინააღმდეგობა არ გაუწევია, თორემ ვინ დაუდგებოდა წინ ომის შემჩერებელს).

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვინ დაატანა ძალა, ვინ გადაუხადა იუბილე, აკი წერდა, მწერლებს სათოფეზე არ ვეკარებიო... „იმდენი ტკივილი მაქვს მიღებული ჩვენი „მწერლური ოჯახიდან“, რომ ძალაუნებურად არავითარი სურვილი არა მაქვს მათთან ურთიერთობისა“–ო.

ასე რომ, ცოდვა გიგანტის გიგანტური იუბილეს გადახდისა საცოდავ მწერლებს არ მიეწერება.

ის კი არა, ერთი მწერალი გაბრიყვდა და მიუცდა ფეხი ამ „ნაძალადევ“ იუბილეზე, მაგრამ რად გინდა, დარბაზში ვერ შეაღწია.

სამოქალაქო ომის შემჩერებელ, შიშის ზაფრაგამოყოლილ გიგანტს თეატრის შესასვლელში გიგანტური „მახინა“ დაეყენებინა. ე, მანდ შეუმოწმებელი კაცი არ შემოვიდეს, შუბლში ტყვია არავინ მკრასო.

მოდი და ნუ გაგიკვირდება ამგვარი გიგანტური შიშისა. რომელი ილია ჭავჭავაძე ეგა გვყავს ან რომელი ბერბიჭაშვილი ის მწერალი იყო, ჯიბეში სახლის გასაღები რომ ედო და ამის გამო ამაშუკელის აპარატურამ „გიგანტური“ კივილი მორთო. ეცნენ მცველები, თავიდან ფეხებამდე გაჩხრიკეს და პროფესიონალი მკვლელის ნაცვლად ხელთ „ცისკრის“ რედაქტორი ზაურ კალანდია შერჩათ.

შეურაცხყოფილი მწერალი, დარბაზში ქუდიც რომ შეეგდოთ, თავისით რაღას შევიდოდა. ძალად კი, ამაშუკელი ხომ არ იყო, იუბილეზე მიეყვანათ.

ახლა, თუ ხათრი გაქვს, აშშ-ს პრეზიდენტივით ნუ იტყვი მკითხველო, თქვენც შეგირცხვათ ცხვირი და ამაშუკელსაც, სულ ეს არის? ამხელა გიგანტურ ინტერვიუში სხვა ვერაფერი ნახეთო?

ვნახეთ, როგორ არ ვნახეთ და ამაზე მომდევნო ნომერში გვექნება საუბარი. გიგანტს გიგანტური წერილი უნდა ვუძღვნათ, აბა, ომის შემჩერებელ გიგანტთან ბრძოლაში მარტო ხომ არ დავტოვებთ ომის გამჩაღებელ ამერიკის პრეზიდენტს.

მომავალ ნომრამდე, გიგანტო!

**ნოდარ ბრიგალაშვილი**

### აფხაზეთის ტერიტორიაზე ყაბარდოდან და ადიღედან შემოსულია 200-მდე შეიარაღებული ბოევიკი

გალის რაიონში გავრცელდა ხმა იმის თაობაზე, რომ უკანასკნელ დღეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდასა და მის მიმდებარე სოფლებში ყაბარდოდან და ადიღედან შესულია 200-მდე შეიარაღებული ბოევიკი.

(იბერია)

### ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ხელისუფლება ცდილობს მიიღოს გარკვეული თანხები საქართველოს ბიუჯეტიდან

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ხელისუფლება ცდილობს მიიღოს გარკვეული თანხები საქართველოს ბიუჯეტიდან. მათ ეს თანხები ესაჭიროებათ ზოგიერთი სოციალური პროგრამის დასაფინანსებლად და სხვა მიზნებისათვის. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხისადმი ურყევია. კერძოდ, მისი აზრით, გარკვეული თანხები ცხინვალის რეგიონისათვის შეიძლება გამოიყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირადად მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში. ცხინვალის რეგიონის ხელისუფლება კი უარს აცხადებს, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობის მიღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების ტოლფასი იქნება.

(იბერია)

### აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის კონსტანტინე ოზგანის მიმართვა რფ-ის ხელმძღვანელობისა და გაეროს გენერალური მდივნისადმი

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინე ოზგანმა მიმართვა გაუგზავნა რფ-ის ხელმძღვანელობას და გაეროს გენერალურ მდივანს. აღნიშნულ მიმართვაში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები სოხუმში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ოპერაციის კოორდინაციის შტაბ-ბინის ზუგდიდში გადმოტანის შესახებ. კონსტანტინე ოზგანს ზემოთქმული აფხაზური მხარის ინტერესების ხელყოფად და ოთხმხრივ მოლაპარაკებებზე მიღწეული შეთანხმების უხეშ დარღვევად მიაჩნია.

(იბერია)

### აფხაზეთიდან 81 ქართველი მეომრის ცხედრის გადმოსვენების საკითხი უახლოეს მომავალში საბოლოოდ გადაწყდება

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს უშიშროების სამინისტროდან აცნობეს, რომ დასასრულს მიუახლოვდა მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან ბაბუშერას აეროპორტიდან 81 ქართველი მეომრის ცხედრის გადმოსვენების შესახებ. ეს მოლაპარაკებები წელიწადნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა და მათ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ქართველი მეომრები დაიღუპნენ 1993 წლის სექტემბერში, როდესაც ცდილობდნენ თვითმფრინავით ჩასვლას ალყაშემორტყმულ სოხუმში. აღნიშნული თვითმფრინავი (ტუ-134) ჩამოგდებული იქნა თბური რაკეტით გრიფის ტიპის აფხაზური ხომალდიდან.

(იბერია)

### გაასამართლეს 300-მდე «მხედრიონელი» და 120-მდე «ზვიადისტი»

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ, ამჟამად, საქართველოს სასამართლოებმა განაჩენი გამოუტანეს 300-მდე „მხედრიონელსა“ და 120-მდე ე.წ. ზვიადისტს. აღნიშნული პირები მონაწილეობას ღებულობდნენ 1992–93 წლებში შეიარაღებულ დაპირისპირებებში, ძარცვავდნენ მოსახლეობას, აფეთქებდნენ ხიდებს და ჩადიოდნენ სხვა ტერორისტულ აქტებს. მთავრდება მზადება რამდენიმე სასამართლო პროცესის დასაწყებად. გასამართლებული იქნებიან ორივე შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლები.

(იბერია)

### ნარკოლოგიური შემოწმება უნდა გაიაროს უკლებლივ ყველა სახელმწიფო მოხელემ

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, რომ დასრულდა სახელმწიფო მოხელეების ნარკოლოგიური შემოწმება. აღნიშნული შემოწმება კანონის თანახმად განახორციელდა და იგი გაიარა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის კანცელარიის ყველა თანამშრომელმა. ნარკოლოგიური შემოწმება თვით საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემაც გაიარეს. კანონის თანახმადვე, საქართველოს პროკურატურა აპირებს მსგავსი შემოწმების ჩატარებას სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ნარკოლოგიური შემოწმება უნდა გაიაროს უკლებლივ ყველა სახელმწიფო მოხელემ.

სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს ისიც, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა უარი განაცხადა შემოწმების გავლაზე იმ მოტივით, რომ ეს მათთვის შეურაცხმყოფელია.

(იბერია)

### რფ-ის სამშვიდობო ძალებმა უკან დააბრუნეს აფხაზ ბოევიკთა ჯგუფი

საააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ 21 დეკემბერს დილის 11 საათსა და 30 წუთზე აფხაზ ბოევიკთა ჯგუფი (ძირითადად ოჩამჩირის რაიონის მცხოვრებნი) შეეცადა დაბა გალში შესვლას. რფ-ის სამშვიდობო ძალებმა ისინი არ შეუშვეს და უკანვე დააბრუნეს იარაღით. აღსანიშნავია, რომ ბოევიკებს არ ეცვათ აფხაზეთის ე.წ. მილიციის ფორმა. სამშვიდობო ძალების შტაბის წარმომადგენლის აზრით, ეს შეიარაღებული ფორმირება შედგებოდა 8 დეკემბერს გალის რაიონის სოფელ რეფთან მოკლული აფხაზი ბოევიკის დაურ აშუბას მეგობრებისა და ნათესავებისაგან. ისინი შურისძიების მიზნით ცდილობდნენ გალის რაიონის ქვედა ზონაში შეღწევას.

(იბერია)

## საქართველოში 700-მდე შიდსით ინფიცირებული ადამიანია

საამბენტოს კორესპონდენტს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან აცნობეს, რომ ამჟამად საქართველოში ოფიციალურად აღრიცხულია 26 შიდსით დაავადებული და ინფიცირებული 700-მდე ადამიანი. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტთა აზრით, თუ საქართველოს ბიუჯეტიდან დაუყოვნებლივ არ იქნება გამოყოფილი საჭირო თანხები, არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, ქვეყანაში შიდსის დაავადებამ შეიძლება ტანდემიის ხასიათი მიიღოს და 2000 წლისათვის საქართველოში 20 ათასამდე შიდსით დაავადებული ადამიანი იქნება. ამისათვის აუცილებელია სპეციალური ცენტრების შექმნა და სააგიტაციო მუშაობის გაწევა.

(იბერია)

## სავარაუდოდ 80-90 ათასი დევნილი კომერციულ საქმიანობასა და წვრილ ვაჭრობას ეწევა

ჯერჯერობით არ არის აღნუსხული იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებიც ეწევიან კომერციულ საქმიანობას და წვრილ ვაჭრობას. სავარაუდოდ მათი რიცხვი 80–90 ათას აღწევს. ამ სფეროში რეზერვები, როგორც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო თვლის, კიდევ არის და ამიტომ სამინისტრო აქტიურ მუშაობას ეწევა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს უწყობენ დევნილთა შორის წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

(იბერია)

## სოფლად ჩასახლებულ დევნილებზე დროებით სარგებლობაში გაიცა მიწის ნაკვეთები

სოფლად ჩასახლებულ დევნილებზე დროებით სარგებლობაში გაიცა მიწის ნაკვეთები. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, აგრძელებს დევნილთა იმ ოჯახების აღრიცხვას, რომელთაც დროებით მფლობელობაში უკვე მიიღეს მიწის ნაკვეთები ან გამოთქვეს მათი მიღების სურვილი. ამჟამინდელი მდგომარეობით, დევნილთა 6810 ოჯახზე გაცემულია 3 391 ჰექტარი მიწა.

(იბერია)

## დიპლომატიური კორპუსი ანიავებს ეროვნულ საგანძურს

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი ქვეყნის ეროვნული საგანძურისადმი დიდ ინტერესს იჩენს. სარგებლობენ რა იმით, რომ დიპლომატიური კორპუსის შემოწმება ფაქტიურად შეუძლებელია, საელჩოთა თანამშრომლები აქტიურად იძენენ ანტიკვარულ ნივთებს და საზღვარგარეთ გზავნიან. როგორც პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ გ.შარაძემ განაცხადა, დროა, შესაბამისმა ორგანოებმა გაარკვიონ, თუ რა საქმიანობას ეწევიან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები, გარდა მათი პირდაპირი მოვალეობებისა.

(იფრინდა)

## „პრიხვატიზაციის“ კიდევ ერთი უკვდავი მაგალითი

*პირადად მე იმდენად მაქვს გული გატეხილი პრივატიზაციის ჩვენებურ პროცედურაზე, ის სამი ვაუჩერიც არ ამიღია, უფასოდ რომ მეკუთვნოდა...*

*რედაქცია კიდევ ერთ გულისგასატეხ მასალას გთავაზობთ ჩვენებური პრივატიზაციისა თუ „პრიხვატიზაციის“ შესახებ.*

*ამა სოფლის ძლიერთა ისე დაინაწილეს საქართველოს ქონება, რომ ერთი ჩემი მეგობარი მწერლის თქმისა არ იყოს, ჩემისთანებისათვის ლურსმნის დასაჭედებელი ადგილიც არ დატოვეს.*

*რა სჯობია სიმდიდრეს, ქონებას, კერძო საკუთრებას, მაგრამ ეს მამაცხონებული გამგებლები, რწმუნებულები და სხვანი და სხვანი, ისე არიგებენ ან ირიგებენ შეხედულებისამებრ საუკუნეებით ნაგროვებ სიმდიდრეს, თითქოს როსტევან მეფის ანდერძი თინათინს მათთვის გადმოელოცოს...*

*მაინც როგორ ხდება ის, რომ კოლექტივი ხელებს ასავსავებს, ჩვენთვის განკუთვნილი ქონება ჩვენ არ გვინდა, გინდათ თუ არა, ამა და ამ კაცს გადაეცესო.*

*როგორ და, გაეცანით გორის ბაზრის „პრიხვატიზაციის“ ამბავს და მიხვდებით, რა ხდება და როგორ ხდება...*

*ვისაც ეს საქმე ეხება, ნუ იფიქრებენ, წერეთ და იკითხეთო, როგორც ეს ხშირად ხდება.*

*გორის რაიონის ხელმძღვანელებო, აბა, წარმოადგინეთ დოკუმენტები, თქვენს თაღლითობას რომ უარყოფს...*

ნოდარ ბრიგალაშვილი

# ბაზრის გაბაზრებული ამბავი და უკანონობით გაბეზრებული ადამიანები

1994 წლის ბოლოს გორის საკოლმეურნეო ბაზარი ბაზრის დირექციის ინიციატივით საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა შეიტანა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულება ბაზრის თანამშრომლებს ანიჭებდა ობიექტის პირდაპირი შესყიდვის უფლებას. პრივატიზაციის შესახებ გამოცემული ნორმატიული აქტების თანახმად ქონების მართვის სამინისტროს გორის განყოფილებას კი წერილობით უნდა ეცნობებინა ბაზრის თანამშრომლებისათვის ობიექტის პირდაპირი შესყიდვის წესების შესახებ, ხოლო ობიექტის თანამშრომლებს, თავის მხრივ (წერილობით), ორი კვირის განმავლობაში უნდა ეცნობებინათ პასუხი.

ბაზრის კოლექტივისათვის ეს წესები ცნობილი იყო, ამიტომ მან თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და 1995 წლის 28 აპრილს კოლექტივის საერთო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტა ობიექტის კოლექტივისათვის პირდაპირი შესყიდვის საკითხი. ამ კრების ოქმი წარუდგინეს ქონების მართვის სამინისტროს გორის განყოფილების ყოფილ უფროსს ბ-ნ ოთარ გიგოლაშვილს, რომელმაც, თავის მხრივ, განუმარტა, თუ რა დოკუმენტაცია უნდა შეეკრიბათ ბაზრის პირდაპირი წესით შესასყიდად. დოკუმენტაცია შეკრიბეს, ჩატარდა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ობიექტის ფასის დასადგენად. ქონების მართვის გორის განყოფილებამ გადააკონტროლა ინვენტარიზაციის მისალები, ხოლო დოკუმენტაცია ბ-ნმა ო.გიგოლაშვილმა მიიღო. ამის შემდეგ, ბუნებრივია, უნდა დაწყებულიყო პრივატიზაციის ოფიციალური ეტაპი, მაგრამ ჯერ გიგოლაშვილი, შემდეგ ბაზრის აწ უკვე ყოფილი დირექტორი ი.აღდგომელაშვილი დაიბარა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოადგილემ და მოითხოვა, რომ შეეწყვიტათ ბაზრის საპრივატიზაციო მასალების შეკრება, რადგან სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების აზრით ბაზარი არ უნდა გაყიდულიყო და დარჩენილიყო მუნიციპალურ საკუთრებაში. ასეთი განაცხადის შემდეგ, რა თქმა უნდა, გიგოლაშვილმა დოკუმენტაცია უკან დაუბრუნა ბაზრის ხელმძღვანელობას და, რა თქმა უნდა, მექანიკურად შეწყდა საუბარი ბაზრის პირდაპირი შესყიდვის თაობაზე. ბაზრის თანამშრომლები დაემორჩილნენ ამ მოთხოვნას, რადგან კანონიერად მიიჩნიეს იგი, მაგრამ ბაზარი უნდა ამოღებულიყო საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან.

მაგრამ რაც აქამდე მოგითხრეთ, მხოლოდ დასაწყისია. გორის რაიონის გამგეობამ 1995 წლის ივნისში თანამდებობიდან გაანთავისუფლა ბაზრის დირექტორი ი.აღდგომელაშვილი და მისი მოადგილე. ბაზრის დირექტორად დაინიშნა ქგორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის დეიდაშვილი და მის მოადგილედ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ქვისლი. მაგრამ გორის სასამართლომ გორის გამგეობის განკარგულება ი.აღდგომელაშვილის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სცნო უკანონოდ და აღადგინა ადრინდელ თანამდებობაზე, თუმცა, ეს პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

1996 წლის აპრილის თვეში ბაზრის კოლექტივისათვის ცნობილი გახდა, რომ საკოლმეურნეო ბაზარი იყიდება აუქციონზე კონკურსის წესით. ბაზრის ყოფილმა დირექტორმა, რომელსაც კოლექტივთან ერთად ხელოვნურად წაართვეს ბაზრის პირდაპირი შესყიდვის უფლება, შეკითხვით მიმართა გორის გამგეობის ხელმძღვანელობას, იყიდებოდა თუ არა ბაზარი. განუცხადეს, რომ ხელმძღვანელობის აზრია, ბაზარი გაიყიდოს და დარჩეს მუნიციპალურ საკუთრებაში. საკითხი იმდენად პრობლემატური შეიქნა, რომ მოწვეული იქნა გორის საზოგადოებრივი აზრის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გორის გამგეობის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული. ქალაქის და რეგიონის ხელმძღვანელობის და საზ. აზრის საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით უნდა მიემართათ ზემდგომი ორგანოებისთვის, რათა ბაზარი ამოეღოთ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან. ბაზრის იმჟამინდელმა დირექტორმა ჯ.მუნჯიშვილმა, რომელიც სხდომას ესწრებოდა, ბაზრის კოლექტივს გააცნო საზ.აზრის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება და უთხრა მათ, რომ ბაზარი არ გაიყიდებოდა. მხოლოდ რამოდენიმე დღის მერე გაირკვა, რომ გამგეობის თავმჯდომარეს და რწმუნებულს ცრუ დაპირებები მიუციათ დროის გაყვანის მიზნით. როდესაც ბაზრის კოლექტივის წარმომადგენლები მივიდნენ სახელმწიფო ქონების მართვის გორის განყოფილებაში, უთხრეს, რომ ბაზარი კონკურსის წესით იყიდება და თქვენს მოთხოვნას საბუთების წარმოდგენის ვადების ამოწურვის გამო ვერ მივიღებთო.

ამის შემდეგ საჩივრებით მიმართეს სხვადასხვა ინსტანციებს, მაგრამ ორ დღეში – 1996 წლის 25 აპრილს ბაზარი საკონკურსო წესით გაიყიდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, უკონკურსოდ, რადგან შესყიდვაში მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობდა. ეს გახლდათ სრულიად უცნობი პიროვნება ჯ.წიკლაური. აი, ასე, ხელოვნურად წაართვეს კოლექტივს ობიექტის პირდაპირი შესყიდვის უფლება. დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ბაზარი ჯ.წიკლაურის სახელით შეისყიდა პრივატიზაციის განყოფილებისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ, რითაც ქონების დანაშაულებრივად განაწილების კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ სიმართლე რატომღაც „ვერ“ აღწევს მართლმსაჯულების გორელ მუშაკებამდე. ამ საკითხს ხომ გორის პროკურატურა სწავლობდა. მან შეაგროვა საკმაო მტკიცებულებანი ბაზრის უკანონო პრივატიზაციის შესახებ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, იმ მოტივით, რომ ვითომ პროკურატურას კონსტიტუციით ეკრძალება პრივატიზაციის კანონიერების შესწავლა, მასალებზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღო (უფრო სწორად, არ მიაღებინეს). თან ამ პერიოდში ბაზრის ახალი ხელმძღვანელებისაგან, ასე ვთქვათ, დაინტერესებულმა ზოგმა თანამშრომელმა განცხადებით მიმართა პროკურატურას, თითქოს ბაზრის პრივატიზაციასთან დაკავშირებით პრეტენზია აღარ გააჩნდათ. აღნიშნულთან დაკავშირებით კონსტიტუციით „უფლებაჩამორთმეულმა“ პროკურატურამ მასალების მოძიება დაიწყო. გამოვიდა ისე, თითქოს კონსტიტუცია ბაზრის თანამშრომელთა უმრავლესობის ინტერესების დაცვას უკრძალავს მხოლოდ პროკურატურას. უფრო მეტიც, პროკურატურიდან გორის სასამართლოში გადაგზავნილ მასალებში არ აღმოჩნდა ზოგიერთი მტკიცება, რომელიც აშკარას ხდიდა ბაზრის პრივატიზაციის უკანონობას. ამის შესახებ არც სასამართლო დაინტერესებულა და გადაწყვეტილებაც საქმის შესწავლის გარეშე მიიღო. გადაწყვეტილებაში მითითებულია: „გიგოლაშვილის მიერ კოლექტივისადმი განმარტებული იყო, რომ კოლექტივს თანახმად 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებისა, შეეძლო შეესყიდა ბაზარი. ასეთ ფაქტს რომ ჰქონდა ადგილი, გიგოლაშვილი და კოლექტივის წევრები არ უარყოფენ“.

სინამდვილეში კი გიგოლაშვილის და ბაზრის კოლექტივის წევრების ჩვენებით დადგენილია, რომ გიგოლაშვილმა კი არ განუმარტა კოლექტივს მათი უფლება, არამედ ჯერ კოლექტივმა მიმართა ინიციატივით ამის შესახებ. ამის შემდეგ გიგოლაშვილმა განუმარტა მას, თუ რა საბუთები უნდა შეედგინათ. გადაწყვეტილებაში იქვე მითითებულია: „მართალია 1995 წლის 29 აპრილს შედგა ოქმი, სადაც კოლექტივი ითხოვდა ბაზრის შესყიდვას, მაგრამ მას მსვლელობა არ მიეცა, რადგან ბაზრის ყოფილ დირექტორს განუმარტეს, რომ ბაზარი არ იყიდება და რჩება მუნიციპალურ საკუთრებაში“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კრების ოქმს მსვლელობა მიეცა. მაგრამ გადაწყვეტილებაში აღნიშნეს: „მართალია, ოქმი შედგენილია, მაგრამ მას არ აქვს სათანადო კანონიერი ძალა, რადგან დასმული არ აქვს დაწესებულების ბეჭედი არსად არ არის რეგისტრირებული“. შეიძლება ოქმს მართლა უნდა ჰქონდეს დასმული ბეჭედი, მაგრამ ამ რეკვიზიტის უქონლობით ეს ოქმი არავის დაუწუნებია. რაც შეეხება რეგისტრაციას, მისი ადრესატისათვის ჩაბარება არავის სადაოდ არ გაუხდია.

[illegible] აღნიშნულია, რომ „თანახმად პრაქტიკისა, [illegible] მხოლოდ კრების [illegible] და მდივანი, არამედ კოლექტივის ყველა წევრი, ვინც სურვილი გამოთქვა ბაზრის პირდაპირ შესყიდვაზე“.

ჩვენთვის გაუგებარია, საიდან აქვს ასეთი პრაქტიკა გადაწყვეტილების ავტორს. კოლექტივი ათასკაციანიც რომ იყოს, პრაქტიკულად როგორ მოხერხდებოდა ყველას ხელისმოწერა. სასამართლოში დაკითხულმა კრების ყველა მონაწილემ დაადასტურა, რომ კრებამ ერთსულოვნად მიიღო ბაზრის შესყიდვის გადაწყვეტილება.

პირდაპირი შესყიდვის წესით ბაზრის პრივატიზაციის უფლება ჰქონდათ მათ, ვინც ამ ობიექტზე დასაქმებული იყო სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულების გამოცემამდე. მუნჯიშვილი კი ბაზარში მუშაობს 1995 წლიდან. კოლექტივისათვის წართმეული უფლების აღდგენა, ცხადია, არ ენდომება. რაც შეეხება კოლექტივის ზოგიერთი წევრის ზემოთაღნიშნულ განცხადებას, რომლითაც პროკურატურას მიმართეს, ეს შეიძლება აიხსნას დღეს არსებული ფაქტიური მდგომარეობით. ამ მასიური უმუშევრობის დროს არავის არ უნდა სამუშაო ადგილის დაკარგვა. ახალმა მეთაურმა წიკლაურმა დააკანონა მოთხოვნა ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერიაო. მან დევნა დაუწყო ჯერ ყველაზე აქტიურებს. სამუშაოდან დაითხოვა ზოგიერთი თანამშრომელი. მართალია, სასამართლომ აღადგინა ისინი, მაგრამ წიკლაური სამუშაოს არ აძლევს მათ. ეს ნაბიჯი იყო სხვების დაშინების ეფექტური საშუალება და შედეგმაც არ დააყოვნა. ბევრმა უარი თქვა თავისი კანონიერი უფლებების აღდგენაზე იმის შიშით, რომ მეპატრონეს მთლად უმუშევრები არ დაეტოვებინა.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „კონკურსში გამარჯვებულის გამოვლინების შემდეგ ბაზრის კოლექტივის წევრთა ნაწილმა განცხადებით მიმართა სხვადასხვა ინსტანციებს მათი უფლებების დარღვევის შესახებ. ქონების მართვის სამინისტრომ შექმნა სპეციალური კომისია, რომლის დასკვნით ბაზრის პრივატიზაცია მოხდა ყველა წესის დაცვით“.

აღსანიშნავია, რომ კომისიას დაუმალეს ბაზრის კოლექტივის საერთო კრების დადგენილება. ქონების მართვის სამინისტროს იურისტმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. დაუმალეს, რომ ქონების მართვის გორის განყოფილების ხელმძღვანელებს თავის დროზე აუკრძალეს კოლექტივისათვის პირდაპირი შესყიდვის გზით ბაზრის გაყიდვა, კომისიას არ აცნობეს გორის საზოგადოებრივი აზრის საბჭოს ამ სხდომაზე საკითხზე გამართული მსჯელობის შესახებ. ერთი სიტყვით, დაუმალეს მთავარი. ამის გაცნობიერების გარეშე, ცხადია, ბაზრის გაყიდვა კანონიერი იყო.

სასამართლოში დაკითხულმა ბაზრის მეპატრონე ჯ.წიკლაურმა განაცხადა: მე მყავს სპონსორი გერმანიიდან და მათი თანხით შევისყიდე ბაზარიო. კაპიტალისტი თანხას არსად არ ჩადებს, თუ უკუგებას არ ნახავს. რად უნდა წავიდეს ჩვენი ქვეყნიდან უცხო ქვეყანაში თანხები, როცა ბაზრის კოლექტივის ძველი წევრები მზად არიან შეისყიდონ ბაზარი სპონსორების დაუხმარებლად.

ლელა კოდალაშვილი

## კანონი მძიმეა, მაგრამ მისი დაცვა აუცილებელია

20 დეკემბერს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ჯანდაცვის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ კ.ბარქაიამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტს შეეხებოდა. მან დამსწრეთ გააცნო პროექტის ძირითადი დებულებები და აღნიშნა, რომ იგი განსაზღვრავს სამკურნალო საშუალებების მიმოქცევით სუბიექტების საქმიანობის და ამ სფეროში მართლზომიერი პრაქტიკის სახელმწიფო გარანტიების სამართლებრივ საფუძვლებს და მიზნად ისახავს შექმნას საფუძველი ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური წამლებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად, რომლის მიღების შემდეგ, კ.ბარქაიას თქმით, გაუქმდება სააფთიაქო ჯიხურები, რომლებშიც ვერ ხერხდება წამლის შენახვის სტანდარტების დაცვა და ხშირად ხდება ფალსიფიცირებული პრეპარატების რეალიზაცია. მისივე განცხადებით, კანონი მძიმეა, მაგრამ მისი დაცვა, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია. კანონპროექტი შემუშავებულია საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია მეორე მოსმენით. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# გალაკტიონ ტაბიძე

## ბიოგრაფია

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება დასაწ. იხ. „საქართველო“ №68,69

### პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული

იმ დროს თბილისისაკენ დაიძრა რევოლუციას გამოქცეული მთელი რუსეთის ინტელიგენცია. მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები. თბილისი ხელოვანთა სავსპარეზოდ იქცა. გალაკტიონმაც თბილისს მოაშურა. ამ ტკბილ-მწარე ქალაქს იგი ვეღარასოდეს მოსცილდება. „თბილისი ჩემთვის არის გოლგოთა, გილიოტინა და ეშაფოტი“ – აქვს მას ასეთი სტრიქონები, მაგრამ თბილისი პოეტების სატახტოდაც იქცა და გალაკტიონს სწორედ აქ უნდა გაემარჯვა ხელოვანთა ცხოვრების თავბრუდამხვევ ორომტრიალში.

მისი ქუთაისური თანამოკალმენი უკვე თბილისს გადმობარგებულიყვნენ. „ცისფერყანწელთა“ დიდი ნაწილი თბილისშია. ლიტერატურულ ცხოვრებაში სწორედ „ცისფერყანწელები“ აქტიურობენ. გალაკტიონს თავდაპირველად მათთან მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა. მისი ლექსი „ცისფერი ყანწების“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა 1916 წელს, მაგრამ შემდეგ პაოლო იაშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს წაეჩხუბა, მწარე-მწარე სიტყვები აკადრეს ერთმანეთს და გალაკტიონი ცისფერ ორდერს ჩამოსცილდა...

1919 წელს გამოსცემს თავისი ლექსების მეორე წიგნს „არტისტული ყვავილები“, რომლის ბადალი კრებული მე-20 საუკუნის საქართველოში აღარ დაწერილა. გალაკტიონი ერთბაშად შედგა დიდი პოეზიის კვარცხლბეკზე, საკუთარი თავის ფასი მან კარგად იცოდა, უკვე ოლიმპის სიმაღლიდან დამზერდა მის თანამედროვე პოეტთა ამქარს. თავის მხრივ, „ცისფერყანწელებს“ პრეტენზია ჰქონდათ ქართული ლექსის ევროპული რადიუსით გამართვაზე. ამ მისიას ისინი ალასრულებენ კიდეც. „ცისფერი ორდერი“ უნიჭიერეს პოეტთა საძმოა. მათ გალაკტიონის უპირატესობის აღიარება უჭირთ. კი გრძნობენ, რომ ამ გამოუსწორებელი მეოცნების სახით ქართულ პოეზიაში გენიოსმა შემოაბიჯა, მაგრამ, როგორც იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. გალაკტიონსა და მის თაობელ პოეტებს შორის აშკარაა შემოქმედებითი მეტოქეობა და ამ ნიადაგზე შექმნილი დაძაბული პიროვნული ურთიერთობა.

თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, საცნაური გახდება იმ ირონიული დამოკიდებულების საფუძველი, რომელსაც გალაკტიონი 40-იანი წლების ერთ ჩანაწერში ამჟღავნებს „ცისფერყანწელებისა“ და ფუტურისტებისადმი. აი, ეს ჩანაწერიც. ერთ პოეტს სახელად რაუდენი ერქვა. ასოთამწყობმა „რაუდ“ააწყო შეცდომით ასე – „რაუდ“. ხსენებული პოეტი აღტაცებული იყო ამ კორექტურული შეცდომით. მიიღო ეს სახელი და შემდეგ ყოველთვის ხელს აწერდა – რაუდ გოგოხია.

„ცისფერყანწელები“ კორექტურულ შეცდომებს აღმოჩენად თვლიდნენ – წერილს ამშვენიერებსო. ისინი არათუ სტოვებდნენ ხელშეუხებლად ამ შეცდომებს, განგებ ამახინჯებდნენ სიტყვებს, რა არის, უფრო გაუგებარი იყოსო.

გაუგებრობას კი მიღწევად სთვლიდნენ. ლექსი, რომელსაც ყველა გაიგებს, ლექსი არ არისო, ამბობდნენ ისინი...

ერთმა ჯგუფის წევრმა, რომელიც კორექტურას ასწორებდა აფიშებისას, ნახა, რომ „ჯადოსნური სალამურების“ მაგიერ ასოთამწყობს „ჭიდოსნური სალამურები“ აეწყო. კორექტორმა განგებ დასტოვა ეს გაუსწორებლად და მეორე დღეს მთელ თბილისში გაკრული იყო აფიშები „ჭიდოსნური სალამურები“. ერთ მივარდნილ კაფეს, რომელშიც იკრიბებოდნენ, სახელად „ჭიდოსნური სალამურები“ დაარქვეს და არავინ კი, ამ კორექტორის მეტმა, არ იცოდა, რა იყო ეს „ჭიდოსნური სალამურები“.

შემოღებულ იქნა უქუდოდ სიარული – ნიშნად პროტესტისა ანდაზისათვის „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“.

ვიღაც შეშლილი პოეტი რუსთაველის თეატრის უზარმაზარ შუშებს ქვებით ამსხვრევს ნიშნად პროტესტისა, რომ მის საღამოს არავინ დაესწრო და შემოსავლის იმედი არ გაუმართლდა.

და რაც ყველაზე მთავარია, საშინელზე საშინელი მატერიალური სივიწროვე. მწერლები სიმშილისაგან სულს ღაფავდნენ. უმწეო მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილნი ხანში შესული მწერლები: ვასილ ბარნოვი, შიო მღვიმელი, ზაქარია ჭიჭინაძე, შიო არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, განდეგილის ქალი, ეკ.გაბაშვილისა და სხვა.

კონფერანსიედ ხშირად იყო პაოლო, ეს ძალიან შემოსავლიანი რამ იყო.

ამ ვრცელ ამონარიდში, მართალია, ცოტა არ იყოს, ტენდენციური დამოკიდებულება ჩანს 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრებისადმი. სხვადასხვა მოდერნისადმი, მაგრამ მოგვყავს იგი, რადგან, იმავდროულად მთელი ეპოქის სურათი და ლიტერატურული პანორამაა დახატული.

გალაკტიონი მარტოსული იყო და განმარტოებულ ცხოვრებას ჩვეული, „ცისფერყანწელები“ კი ურთმანეთოდ, როგორც იტყვიან, პურს არ გატეხდნენ. ხასიათის ასეთი სხვადასხვაობაც იყო მიზეზი იმისა, რომ პაოლოსა და გალაკტიონს, თუნდაც ბიძაშვილებს – ტიციანსა და გალაკტიონს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარება არ ხერხდებოდა. ახალგაზრდა „ცისფერყანწელები“ ისეთ თავდავიწყებამდე მისულ ორგიებს აწყობდნენ, რომ ქუთაისის მენშევიკურმა ადმინისტრაციამ პაოლო იაშვილს ქუთაისიდან გასახლება მიუსაჯა, როგორც პოეტების ბოჰემური გამოსვლების მეთაურს. გალაკტიონი კი სუფრაზედაც მარტოხელად გამოიყურებოდა...

თუ გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკას გადავავლებთ თვალს, ერთი შეხედვით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ეს ქრონიკა შთამბეჭდავი წარმატებისა და გამარჯვებათა მაუწყებელია.

აი, თარიღების მშრალი ნუსხა:

1922 წ. გალაკტიონი აქტიურად მუშაობს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში. გალაკტიონის რედაქტორობით გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ლიტერატურული ჟურნალი „ლომისი“.

1923 წ. გამოდის ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“.

რუსთაველის თეატრში ეწყობა პოეტის მოღვაწეობის 15 წლის იუბილე. საიუბილეო კომიტეტი აქვეყნებს მოწოდებას.

გალაკტიონ ტაბიძე ეპოქალური მოვლენაა საქართველოში... თხუთმეტი წლის წინათ მკითხველმა საზოგადოებამ ერთბაშად აღიარა მასში შეუდარებელი პოეტური ნიჭი. თხუთმეტი წლის განმავლობაში მისი ლექსი იწვევდა არაჩვეულებრივ გამოხმაურებას. უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი აღელვებული მიესალმა ამ წიგნის გამოსვლას. გალაკტიონ ტაბიძის პირველი სალიტერატურო საღამო იყო პოეტის ნამდვილი დღესასწაული... მან შექმნა მთელი შკალა და დაუფასებელი ღვაწლი დასდო თანამედროვე ლექსის ტექნიკას... ასეთი პოეტი საუკუნეში ერთი იბადება...

1924 წ. გალაკტიონი ერთ-ერთი დამფუძნებელია ჟურნალ „მნათობის“. ამ ჟურნალის პირველ გვერდზე თითქმის ყოველთვის გალაკტიონის ლექსები იბეჭდება.

1925 წ. „მნათობის“ მეათე ნომერში იბეჭდება გალაკტიონის ასი ლექსი.

1927 წ. გამოდის ერთდღიური გამოცემა „გალაკტიონი“, რომელშიც მოთავსებულია წერილები და ლექსები გალაკტიონის შესახებ. პოეტი სცემს ლექსების დიდ კრებულს.

ქსოხუმში იმართება პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო, სადაც მას მიართმევენ ლირას წარწერით: „გალაკტიონს – პოეტების მეფეს“.

1928 წ. ჩატარდა პოეტის სალიტერატურო მოღვაწეობის 20 წლის იუბილე.

1932 წ. გალაკტიონს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

1933 წ. სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდი ზეიმით გადახდილ იქნა პოეტის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. მთავრობის დადგენილებით გალაკტიონ ტაბიძეს მიენიჭა საქართველოს სახალხო მწერლის წოდება.

1934 წ. გალაკტიონი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

1935 წ. გალაკტიონი მიემგზავრება პარიზში, როგორც მწერალთა პირველ მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესის დელეგატი.

გამოდის პოეტის ნაწერების მეორე ტირაჟი. ასევე იცემა მისი ლექსები და პოემები რუსულ ენაზე.

1936 წ. გალაკტიონი იღებს ლენინის ორდენს.

1938 წ. აღინიშნება გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

1943 წ. ზეიმით აღინიშნება დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 წლისთავი და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავის იუბილე.

ალბათ, მოსაწყენია ამ მშრალი ფაქტებისა და თარიღების კითხვა.

ასე გაგრძელდა მწერლის გარდაცვალებამდე. იუბილეები, ზეიმები, შეხვედრები, ახალ-ახალი ტომეულების გამოცემები. ასე რომ, ვინც გალაკტიონის ბიოგრაფიის ქრონიკას წაიკითხავს, სხვათაშორის, მის მიერვე შედგენილსა და ჩამოწერილს, ერთობ სვებედნიერი და ქუდბედიანი კაცის პორტრეტი წარმოუდგება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. როგორც პოეტის ბიოგრაფიის შესავალშივე აღვნიშნე, სწორედ ყველაზე ბედნიერი, მაგრამ ყველაზე უბედურიც იყო თანამოკალმეთა შორის. მისი ნამდვილი ყოფის სურათს არა მშრალი საგაზეთო ქრონიკები, არამედ დღიურები, გრძელ ღამეებში გამოტანჯული დღიურები გვამცნობს. გაგაცნობთ ერთ მათგანს, რომელსაც, ალბათ, კომენტარი აღარც დასჭირდება.

### 31 დეკემბერი, 1932 წელი.

„1932 წლის უკანასკნელი დღეა. საათი დავაყენე სწორედ თორმეტზე და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ოთახი შეძლებისდაგვარად დავასუფთავე. ოთახშიაც და აივანზეც ანთია ელექტრონები. მე მინდა მხიარულად შევხვდე ახალ წელს. არ მინდა მახსოვდეს უკანასკნელი დღეების კოშმარები საღამო რომ გადაიდო ქართულ კლუბში, ვინაიდან არავინ დამეხმარა. შემდეგ მწერალთა პლენუმზე რომ გამოვედი სასტიკად გაბოროტებული, ყველა მწერლები რომ დავიმდურე, საშინელი კრიზისი რომ იყო და ხელი არავინ გამომიწოდა, რომ ისევ ავადა ვარ და ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილი, რომ არც ერთი „პიასტრი“ არ გამაჩნია, რომ ყველა მისაყვედურებს რაღაცას, დავდივარ უფეხსაცმლოდ. ერთი მიღწევა ეს პალტოა, როგორც იქნა ვიშოვნე. სხვა უკანასკნელ დღეებში არავითარი კარგი რამ არ ყოფილა ჩემთვის. რაც ყველაზე საშინელია, ისევ მაწვალებდა თვითმკვლელობაზე ფიქრი, რომელიც მეგონა რომ სამუდამოდ ჩამოვიშორე. საათი დაყენებულია სწორედ თორმეტზე და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ღირს კი რაიმეს გახსენება მიმავალი წლის ამბებიდან? ძალიან ცოტა რამ იყო კარგი. ჩემის მხრივ, შეცდომები იყო უამრავი. მთელი წლის განმავლობაში საზიზღრად ვსაზრდოობდი და ალბად იმის ბრალია, რომ ყველაფრის ხალისი მეკარგება. ათასჯერ გამძარცვეს. ერთხელ პალტო წამართვეს, მეორეჯერ პიჯაკი, დოკუმენტებით. ოო, ეს საშინელება იყო. მესამეჯერ ფეხსაცმელები და კალოშები, მეოთხეჯერ ქუდი. სულ სამი ქუდი დავკარგე ამნაირად. სოფელში რომ ვიყავი, ვიქცეოდი ისე, როგორც აქ, საზიზღრად. ვთვრებოდი, მივეჩვიე არაყს. ჩამოვიშორე ბევრი კარგი მეგობარი და დავიახლოვე ისეთები, რომლებიც ყოველდღე მძარცვავენ. სხვადასხვა დროს დავკარგე ორი ახალთ-ახალი შარფი, კრიზისის დროს გავყიდე უკანასკნელი შარვალი. „საქართველოს ჩაიმ“ ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მივლინებისას. ის ფული ხუთ დღეში გავაქრე და ვერსადაც ვერ წავედი. პენსიის ფულს ყოველთვის წინდაწინ ვიღებდი, მარა ორ დღეს იქით არ გამყოლია. ეპოქა უნდა გამოსულიყო. ფული ნაწილ-ნაწილ ავიღე და არაფერი არ დამრჩენია, რადიომ სამასი მანეთი მომცა ავანსად და ისიც უცებ გაქრა, ასი მანეთი აჭარისტანის ცაკს გამოვართვი და დღემდე ვერ დავუბრუნე, ასი ბარონს საღამოსათვის, ასი კიდევ სხვა ორგანიზაციას. სახლიც კი არ მახსოვს. დედაჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაი-ლაი გამართა და ისევ წავიდა. ოლია სწორედ მაშინ გაქრება, როდესაც ავად ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამას წინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწექი საწოლში და კაცი ჩემთან არავინ მოსულა. მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდმარტო ვიყავი, კაცი არ იყო ჩემი ამბის მკითხველი, ჩემთან ბინაში სწორედ ხუთი წელიწადია არც ერთი მეგობარი არ მოსულა. კაცი რომ მოჰკვდე საკუთარ ოთახში, ამას გაიგებენ მხოლოდ 15 დღის შემდეგ, როდესაც გახრწნის სუნი გაანგრევს კარებს და ეზომდე გაატანს“.

ის განწყობილება, ის ტკივილი, რაც ამ დღიურში ჩანს, სამწუხაროდ, წუთიერი განწყობილების შედეგი როდი იყო. თვითმკვლელობაზე ფიქრი არ სცილდებოდა პოეტს. ამ დღიურის დაწერიდან ორიოდე კვირის შემდეგ სოხუმში მიემგზავრება, რათა გემბანიდან ზღვაში გადავარდეს. საბედნიეროდ, იმხანად პოეტმა სძლია საკუთარ თავს.

კიდევ ერთ გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ზემოთ ჩამოწერილი ბიოგრაფიული ფაქტებიდან, იმ უამრავი საზეიმო საღამოდან, რომლებიც გალაკტიონს გადაუხადეს, ჩანს, რომ იგი დიდად დაფასებული და პატივცემული იყო ხელისუფლებისაგან, მაგრამ ეს დაფასებაც მოჩვენებითი გახლდათ. საილუსტრაციოდ კიდევ ერთ ჩანაწერს გაგაცნობთ. გალაკტიონი კრებას ესწრება. თავისთვის ზის და მომხსენებელს უსმენს – „უეცრად თავს დამადგა მილიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი და მითხრა:

– გთხოვთ ქვევით საქმისათვის.

მე ვაჩვენე, რომ ეხლავე ჩამოვალ. შევამჩნიე, რომ საზოგადოება ყურადღებას მაქცევდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩავედი.

ვიხედები, ვინ მეძახის მეთქი, არავინ არ ჩანს. ისევ ის მილიციის ფორმაში.

მობრძანდით ერთი წამით, მიაცილეთ ეს კარებთან, უთხრა მეორე მილიციელს.

მე გავოცდი, რაშია საქმე მეთქი, ვიფიქრე, ვერაფერი ვერ მოვისაზრე და გავყევი მილიციონერს, რომელმაც ჩამატარა კიბეები და მიმიყვანა საკომენდატოში...

ვაში დოკუმენტი, ვინა ხართ?

ვუჩვენე დოკუმენტები, ვინცა ვარ.

– უკაცრავად, მითხრა შან, საზოგადოდ, ვამოწმებთ. არ გეწყინოთ. მიაცილეთ ეს კაცი თავის ადგილას.

და გამომიყვანეს. მიმიყვანეს არა იქ, სადაც ვიჯექი, არამედ სულ სხვა მხრით და სხვა გზით სულ ზევით, უკანასკნელ რიგთან.

ვფიქრობდი, თუ რაღა მე ამირჩიეს მეთქი ამდენ ხალხში შესამოწმებლად. რა იყო მიზეზი? ვის მიერ იყო, არაფერი არ ვიცი.

კაცს, რომელიც დოკუმენტებს მთხოვდა, პირიდან ღვინის ოხშივარი ამოდიოდა, არ გეწყინოსო, გალაკტიონ, წამოსცდა ამას ჩემი სახელი.

ვუგდებდი ყურს კალინინს (მომხსენებელს ნ.გ.).

შემდეგ თურმე ბანკეტი იყო

როგორც ვხედავთ, იმ დარბაზში, სადაც მოსკოვიდან ჩამობრძანებული დიდი ჩინოვნიკი კალინინი კითხულობდა მოხსენებას, გალაკტიონის წინა რიგებში ჯდომა ეხამუშათ ხელისუფალთ და იგი უკან „გადასვეს“...

ახლა ისიც გავითვალისწინოთ, რომ ერთადერთი გულშემატკივარი და მეგობარი მეუღლე, ოლია ოკუჯავა, 1937 წელს ტროცკისტისა და ხალხის მტრის ბრალდებით დააპატიმრეს და გადაასახლეს.

თავშესაფარი ნერვებგაფლეთილმა პოეტმა ღვინოში ჰპოვა. განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ სმას უმატა. ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია. თავისი ყოფის საშინელება შემაძრწუნებლად გადმოსცა ლექსით. აი, ეს ლექსიც:

„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,
შურმა და მტრობამ ისე მოგინდო,
შენი ცხოვრება და სიმძიმილი,
არის ეს ქუჩა და სამიკიტნო.
შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი,
რომელიც კვდება ცივი, ბებერი,
მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი.
არც კარებია, შესაღებელი.
შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის.
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის
შენი ცხოვრება, ვით შემოდგომა,
არასდროს აღარ დაიზამთრება.
აცივდა და შენს გარშემო დგომა
ეხლა არავის არ ენატრება.
შენი ცხოვრება ლონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა.
რისთვის გაშინებს მითხარ სიკვდილი,
თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა?
ვიცი თუ როგორ გადიხარხარებს,
როცა გაიგებს სიკვდილი ხველას,
შენი ცხოვრება არვის ახარებს,
შენი სიკვდილი ახარებს ყველას.
ეს აზრი უნდა გავიგოთ ესე.
რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას
და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს
წერტილს ტყვიისას.
რას?
თვითმკვლელობას.

ეს დღეც დადგა გატანჯული პოეტის ცხოვრებაში.

„კარკმელს გაალებს ამღვრეული
გალაკტიონი,
და ქვაფენილზე შურდულივით
დაენარცხება“.

გაზაფხულის თვე იყო. მარტი. რიცხვი 17. წელი 1959.

გაგრძელება იქნება

# ტესტი პედაგოგთა ატესტაციისთვის

## ქართული ენა და ლიტერატურა

II ვარიანტი

1. ვინ იყო გრიგოლ ხანძთელის პირველი ხელგამმართველი ხანძთის მონასტრის მშენებლობაში?
   1. *გაბრიელ დაფანჩული;*
   2. *აშოტ კურაპალატი;*
   3. *ბაგრატ კურაპალატი;*
   4. *ოპიზელი მამები;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
2. ვისზეა ნათქვამი ფრანგი მისიონერის რიშარის სიტყვები: „მთელი საქართველო მამად მიიჩნევსო“?
   1. *დავით აღმაშენებელზე;*
   2. *სულხან-საბა ორბელიანზე;*
   3. *ილია ჭავჭავაძეზე;*
   4. *ვახტანგ მეექვსეზე;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
3. რით არის ღირშესანიშნავი 786 წლის 6 იანვარი?
   1. *ნერსე ერისთავის გარდაცვალების დღეა;*
   2. *იოანე საბანისძემ ამ დღეს დაასრულა თავისი თხზულება;*
   3. *სტეფანოზ გურგენისძე ამ დღეს გახდა ერისმთავარი;*
   4. *აბო თბილელის სიკვდილით დასჯის დღეა;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
4. ვის მიმართავს გრიგოლ ორბელიანი:

„შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“...
   1. *თამარ მეფეს;*
   2. *ვახტანგ გორგასალს;*
   3. *დავით აღმაშენებელს;*
   4. *ვახტანგ მეექვსეს;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
5. ვაჟა-ფშაველას პოემაში ვინ ვის შესახებ ამბობს:

„ფიქრობენ: „რამ გააგიჟა
ლეკიაა თუ ურია?
შვილის მაგივრად თავხედსა
ჩვენივე სისხლი სწყურია“?
   1. *მუსა - ჯოყოლას შესახებ;*
   2. *ხალხი - საომრად მარტო გასული ჯოყოლას შესახებ;*
   3. *ხალხი - ალუდა ქეთელაურის შესახებ;*
   4. *ლაშქარი - ბერი ლუხუმის შესახებ;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
6. რა არის აღწერილი ვაჟა-ფშაველას შემდეგ სტრიქონებში:

„გორი რამ ჩასდგამს შუბის
წვრად,
მუხა-იფნებით ფარული
იქ ყრია დიდი ლოდები,
შავფერი, ციხისკარული
ლიბოდათხრილი კოშკები,
უმზეოდ ჩამოგვალული“...?
   1. *ქისტების სასაფლაო;*
   2. *ალუდას დარბეული სახლკარი;*
   3. *ფშაველთა სალოცავი;*
   4. *გუდანისჯვრის ხატი;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
7. სად და როდის კვდება გიორგი (კ.გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“)?
   1. *ავაზებით ნადირობისას;*
   2. *ქორსატევლას ციხის აღებისას;*
   3. *ჟამიანობისას მცხეთაში;*
   4. *ფხოვის ხატობაზე, ჩხუბში;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
8. რატომ ამბობენ თავადის ქალ მაიაზე: მაგის ნაკვალევზე სიკვდილი დაიარებაო?
   1. *მაიას სიყვარულის გამო დაუნანებლად ხოცავდნენ ერთმანეთს რჩეული ვაჟკაცები;*
   2. *მაიამ ყველა თავისი მიჯნური მოაკვლევინა;*
   3. *მაიამ ქორწინების ღამეს მოკლა ბექირბეი ჩაჩბა;*
   4. *მაიამ გლეხთა აჯანყების ჩახშობაში მიიღო მონაწილეობა;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
9. რა გვარის ქალი იყო გალაკტიონის დედა?
   1. *იაშვილი;*
   2. *სიმონიშვილი;*
   3. *ადეიშვილი;*
   4. *იმერლიშვილი;*
   5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
10. რომელია პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?
    1. *„სახარება“;*
    2. *„ვეფხისტყაოსანი“;*
    3. *„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“;*
    4. *„აღწერა სამეფოს საქართველოსა“;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
11. ვინ არის ავტორი რომანისა „ეშმაკები“?
    1. *ივანე ტურგენევი;*
    2. *ნიკოლოზ ჩერნიშევსკი;*
    3. *მაქსიმ გორკი;*
    4. *თეოდორ დოსტოევსკი;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
12. ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანს?!“ ასე იწყებს: „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო“. რა არის „რიტორიკა“?
    1. *ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი;*
    2. *ტრაქტატი მჭევრმეტყველების შესახებ;*
    3. *ერთი და იმავე აზრის ხშირი გამეორება;*
    4. *ლუკრეციუსის სამიჯნურო პოემა;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
13. ვის მიმართავს იოანე საბანისძე სიტყვებით: „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“?
    1. *რწმენაშერყეულ ქართველებს;*
    2. *აბო თბილელს;*
    3. *საკუთარ თავს;*
    4. *სამოელ კათალიკოსს;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
14. ვისზე ამბობს დავით გურამიშვილი:

„მტერთა მებრძოლთა ყოველთა
მან ყველას ხელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ საქმობს კვდარია“
    1. *პეტრე პირველზე;*
    2. *დავით აღმაშენებელზე;*
    3. *[illegible]*
    4. *თამარ მეფეზე;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. „შუშანიკის წამებაში“ აღსასრულის ჟამს დედოფალმა „კაცი ცოდვილი და გლახაკი“ ეპისკოპოსს შეავედრა. ვინ იყო იგი?
    1. *ვარსქენი;*
    2. *აფოცი;*
    3. *იაკობი;*
    4. *სენაკის მცველი;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
16. რომელი ნაწარმოებიდანაა შემდეგი სტრიქონი:

„მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?“
    1. *ა.წერეთლის „გამზრდელიდან“;*
    2. *ი.ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“;*
    3. *ნ.ბარათაშვილის ლექსიდან „ჰოვე ტაძარი“;*
    4. *ი.ჭავჭავაძის „განდეგილიდან“;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
17. რომელი ციხის შესახებ ყვება ლეგენდას ლელთ ღუნია?
    1. *სნოს;*
    2. *არშის;*
    3. *გერგეტის;*
    4. *სამების;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*
18. ვინ ურჩია ბერძნებს მოციქულად ქართველთა წინაშე წარედგინათ ათონის მთის ბინადარნი, კერძოდ კი „თორნიკ ქართველი ან დიდ-იოანე“?
    1. *თეოფანიამ;*
    2. *კონსტანტინემ;*
    3. *ბასილმა;*
    4. *სევისტოფორმა;*
    5. *არც ერთი პასუხი არ არის სწორი.*

გაგრძელება იქნება

---

## სამართალი «ასე მინდას» პრინციპით

20 დეკემბერს რუსთაველის საზოგადოებაში კვლავ „გაუგებრობა“ მოხდა. მთაწმინდის რაიპოლიციამ, ამავე რაიონის მოსამართლის თალაკვაძის დავალებით გამგეობის სამუშაო ოთახს (და არა თ.სიგუას კაბინეტს) საკეტი გამოუცვალა. ეს ქმედება ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, ვინაიდან თ.სიგუა თავმჯდომარეობიდან გადადგა და შენობა დატოვა. შეკითხვაზე, თუ საიდან მოიპოვეს გასაღები, პოლიციელებმა „ივერთბანკის“ ხელმძღვანელობაზე მიუთითეს.

შექმნილი ვითარების შესახებ, საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, მწერალმა გურამ გეგეშიძემ გაკვირვება გამოთქვა და კომენტარიც ზედმეტად მიიჩნია.

ამავე დროს, მან გვითხრა, რომ დღეს დეპეშა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიღების თხოვნით. თუ ეს შეხვედრა შედგა, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა რუსთაველის საზოგადოების პრობლემები.

**გუგაზ მეგრელიძე**

---

## ვინ არის ჩვენი დუხჭირი ცხოვრების „არქიტექტორი?“

მეორე გვერდიდან

და ვთხოვ სასწრაფოდ მოიწვიოს თათბირი ბანკირების თანდასწრებით.

...ჩემი დაჟინებით იწვევს თათბირს. იქ მე პირდაპირ ვთხოვ დვალიშვილის გადაყენებას და ამ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეჩერებას. ამ დროისათვის ემისია ზღვარს 148 მილიონითაა გადაცილებული და ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის მოგვარება. ამ თათბირს, ჩემს გარდა, ესწრებიან ვიცე-პრემიერები გოცირიძე, კერვალიშვილი, ეკონომიკის მინისტრი ჯიბუტი, ფინანსთა მინისტრი პაპიაშვილი და პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბასილია. ყველა ერთხმად უჭერს მხარს ჩემს გამოსვლას. შევარდნაძე კი ამბობს - „არა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა სწორია“. ამის შემდეგ იძულებული გავხდი გამოვსულიყავი პარლამენტის სხდომაზე და მეთქვა სიმართლე მთელი საქართველოსთვის მოგვიანებით, ჩემი გადადგომის შემდეგ, 1993 წლის 31 ივლისს, შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე აღიარა, რომ -ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დამღუპველი იყო ქვეყნისათვის“-ო (გაზეთი „დრო“ №35, 1996 წ.)

შემდეგ ყოფილი პრემიერი აგრძელებს: „დემურ, რას გაკეთებინებენ, ალბათ, ყველაფერს ვერ ხვდებით-მეთქი. მიპასუხა - კი ვხვდები და ალიბიც მაქვსო. თურმე ყველაფერს ფირზე იწერდა“ - თუ რომელ სესხს ვისი დავალებით გასცემდა. გარდა ამისა, მდივან ქალსაც აწერინებდა ჟურნალში. ეს სწორედ ის ჟურნალი გახლავთ, რომელიც მან მდივანს შს სამინისტროში 1994 წლის 9 სექტემბერს მიატანინა. მე, როგორც კი ეს ამბავი გავიგე, პარლამენტზე გამოვედი და მოვითხოვე ქსეროასლები გადასცემოდა მიმინოშვილისა და ადამიას კომისიებს, მაგრამ წინა პარლამენტმა ისე დაასრულა მოღვაწეობა, რომ ეს მოთხოვნა არ განახორციელა.

ამჟამად კი საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომ განზრახული აქვთ გამოაქვეყნონ ეს ჟურნალი, რომელშიც აღნუსხულია არა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის, არამედ ოპოზიციის წევრი დეპუტატების გვარები (გაზეთი „საქართველო“ №64, 2-5 დეკემბერი, 1996 წ.).

ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა გვერდი აგვევლო საქართველოს გენერალური პროკურორის ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილის აზრისათვის, რომელიც საპარლამენტო სხდომაზე უნდა თქმულიყო (მაგრამ „არ თუ ვერ“ მოხერხდა). ბატონი ჯამლეთის ვრცელ საგაზეთო წერილში ნათქვამია: ...თვით პრემიერყოფილს თავისი განკარგულებით, მარჯვნივ თუ მარცხნივ გაცემული აქვს, სულ ცოტა, 130 მილიარდამდე მანეთის კრედიტი. მაშინ, როცა მანეთი მანეთობდა. თავისთავად კრედიტის გაცემა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან კრედიტი იმისაა, რომ იგი უნდა გაიცეს. კრედიტები სხვებსაც აქვს გაცემული. მთელი უბედურება ისაა, რომ დასახელებული კრედიტის მნიშვნელოვანი ნაწილი გაცემულია აშკარად კანონსაწინააღმდეგო რეზოლუციებით, რის უფლებაც მას არანაირ შემთხვევაში არ ჰქონდა. ეს კიდევ არაფერი. ვითარების მთელი დრამატიზმი იმაშია, რომ კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხვედრილია სხვადასხვა ჯურის მაფიოზთა ხელში, როგორც იტყვიან, „გაცოცხლებულია“ და დიდი ფულადი მასის სახით გატანილია რესპუბლიკის გარეთ. თუ რა იდგა ბატონ თენგიზ სიგუას რეზოლუციების მიღმა, ამას უახლოეს დღეებში გამოძიება გამოარკვევს და სათანადო ზომებსაც მიიღებს“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №40, 7 ოქტომბერი, 1994 წ.).

მას შემდეგ განვლო არა „უახლოესმა დღეებმა“ (როგორც გენ. პროკურორი მიუთითებდა), არამედ უკვე მესამე წელია და გარკვეული ჯერაც ვერ ვიხილეთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონ ჯ.ბაბილაშვილის ხელმძღვანელობით ამ მიმართებით მიმდინარეობდა მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შესწავლა 1991-1995 წლების პერიოდისათვის, სადაც, ჩემის აზრით, კონკრეტული დასკვნებია გაკეთებული და იგი გამოქვეყნდა პრესაში სათაურით - „შავი ჩრჩილი“, რაზედაც ყოფილი ვიცე-პრემიერის, ბატონ ამარგიანის პასუხები დღესაც იბეჭდება, ხოლო ყოფილი პრემიერის ბატონ ოგაცაკიას და ვიცე-პრემიერის ზ.კერვალიშვილის საქმიანობა განხილულ იქნა საპარლამენტო კომისიის სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს პარლამენტარი ბატონი გ.ბარამიძე. რაც შეეხება ყოფილ პრემიერს, ბატონ თ.სიგუას, მან გენპროკურორის ყველა დასმულ კითხვას ანალიზით უპასუხა და თან დაურთო დადგენილებების, განკარგულებების თუ მიმოწერის ქსეროასლები. მკითხველი თავადვე დაასკვნის რეალობას (იხილეთ, გაზეთი „შანსი“, 1996 წ. №86, 88, 89, 91).

მაშ, რა ხდება, ვინ ტყუის, ვისი ხელი ურევია საქართველოს ფინანსურად, ეკონომიურად, ზნეობრივად დაცემაში? თუკი ჯერ კიდევ შესასწავლია და შედეგიანად გარკვეული არ არის ამა თუ იმ ხელმძღვანელის ხელისშეწყობა საქართველოს „დაჩოქებაში“, მაშინ რატომ მოხდა თ.სიგუას წინასწარი დადანაშაულება და თუ ყველაფერი გარკვეულია, მაშინ რატომ შეურაცხყოფს და ბრალს დებს იგივე თენგიზ სიგუა ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს?

ვგონებ, დროა ბოლო მოეღოს ცილისწამებასა და დაუდასტურებელ არგუმენტებს თუ გინდ ეს პრეზიდენტის, ან გნებავთ, ყოფილი პრემიერის მისამართით იყოს ნათქვამი, და, საერთოდ, ადამიანი დაცული უნდა იქნეს ყოველგვარი ჭორისაგან. ამას არ მოაქვს არანაირი სიკეთე და არავინ არ უნდა ეცადოს, რათა საქართველოს ყველაზე დიდი მტერი - მტრად მოკიდებული ქართველი ჰყავდეს.

ამდენად, ურიგო არ იქნება, თუკი ტელევიზიით გვიჩვენებენ 1993 წლის 10 ივნისის საპარლამენტო სხდომის ვიდეოჩანაწერის იმ ნაწილს, რომელიც ბანკის საკითხების განხილვას მიეძღვნა, რათა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ იხილოს, ვის რა პოზიცია უჭირავს და ვინ არის ჩვენი დუხჭირი ცხოვრების „არქიტექტორი“. ვინ არის ის, რომლის ქმედებითაც თბილისის (და არა მარტო თბილისის) ქუჩები ხელგაშვერილი, დარცხვენილი ქართველი მათხოვრებითაა გავსებული.

ჭეშმარიტების გაგებით განგაში ხვალინდელ დღეზე მაინც უნდა გადავიტანოთ, რათა დაშვებული შეცდომების გამოსწორების შანსიც არ დავკარგოთ.

ბოლოს, მსურს დავასრულო ვაჟას სიტყვებით: „ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო“.

**ო.აფხაზავა**
სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, ეკონომისტ-ფინანსისტი

# სატირის გვერდი — წუთშესვენება

## შოთა ნიშნიანიძე

# ეპიგრამები

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლემის ღენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



წუთისოფელი ომია, ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ხდება,
ციხეში აგზავნის.

### ბებერი ეშმაკის საყვედური დამწყები ეშმაკისადმი

თეთრი ძაფით ხარ ნაკერი ბრიყვო,
ნეკში ვინახავ ჭკუას შენოდენს.
ეშმაკი უნდა ისეთი იყოს,
რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს.

* * *

თუ მეფე მასხრობს, სწორედ მაშინ მეფობს მასხარა,
ასე მოძღვრავდა ერთი ბრძენი რომსა თუ მემფისს.
მეფევ, ძალიან ცუდად არის საქმე აშკარად,
როცა მასხარის ეშინიათ და არა მეფის.

### ფულის ტომარა

ის ახლა ფულის ტომარაა... ტუზია კიკო...
მისთვის ერთია მაშრიყიც და დასალიერიც.
ვინ იყო უწინ? - ეჰ, უწინაც ტომარა იყო
ოღონდ დაბებკილ-დაჩუტული და ცარიელი.

* * *

გმირის გზა განვლო... და ყაჩაღურ გზებზე იარა...
ავიც და კარგიც ვერ მოვლიო მოსათხრობელად.
ამნაირ გმირებს, თუ ვიქნებით სამართლიანი,
ძეგლიც ეკუთვნით, რა თქმა უნდა, და სახრჩობელაც.

* * *

ახტა და დახტა მავანი, სიტყვა იქნია ლახტად,
ჯერ ახტა ბარიკადაზე, მერე სცენაზე გახტა:
- ძირს მეფე, ტაკიმასხრები, ვინც ტრიალებდა
ტახტთან!
ახტა და დახტა მავანი... ერთიც ახტა და დახტა,
ჯამბაზები და მასხრები ყველა დატოვა სახტად:
ცირკში მიწვევის მაგიერ მეფის მრჩეველი გახდა.

### გვირგვინი

დიახ, გვირგვინი, ისტორიამ როგორც გვაჩვენა,
შეშვენის დიდ კაცს, სულით მაღალს, ჭკუით
ფალავანს.
ზოგს უნდა თავის გამოსაჩენად,
ზოგს კიდე თავის უთაობის დასაფარავად.

* * *

ცხრაჯერ შეცვლილ ცხრა მთავრობის ცხრა ომსა
და სიკვდილში
ნიჭზე უფრო აფასებდნენ სავარძელს და კონდახს.
არაფერი არ მქონია, გარდა ერთი სინდისის,
ცხრა მთავრობის მეგობარს კი - ცხრა სინდისი
ჰქონდა.

### საქართველო - 1993

დაკარგა ფეხი... მერე ხელიც დაკარგა წლეულს...
ძლივს-ღა დაათრევს აფხაზეთში გათლილ ყავარჯენს.
მგონი, საჯდომიც აღარ შერჩა ძვალ-ტყავად ქცეულს,
კუდი კი მაინც გაუდვია პიწკად ყავარზე.

### ერთხელ გიჟმა თქვა

ერთხელ გიჟმა თქვა: სულ ფუჭია თქვენთან კამათი,
ცოტანი ვართ და სიმართლეშიც ვერ გექიშპებით.
ბევრნი რომ ვიყოთ, ბატონებო, მაშინ ვნახავდით
ვის ერქმეოდა ჭკვიანები და ვის გიჟები!..

### თეატრის გარდეროპში

შავი მელიის, მაიმუნის, წავის ქურქები
კვიწინებენ და თან ერთმანეთს მარკას უქებენ.
ისმის ბეწვეულ-ქურქეულის დისკანტი, ბანი...
ჭუკჭუკებენ და ხითხითებენ, ხმებს იბოხებენ...
ხოლო უბრალო პალტოები რატომღაც ჰგვანან
სახრჩობელაზე დაკიდებულ მეამბოხეებს...

### პოლიტიკა

ყვავილი და ხიშტი,
პირჯვარი და ტერორი,
გზა-კვალს იგვირისტებს
იდუმალი სერობით,
ქადაგებით - ქრისტე,
მოქმედებით - ნერონი.

### მეფის მრჩეველი

ის კაცი მეფის მრჩეველია ანუ რჩეული
და კუდში დასდევს აბეზარი ალხან-ჩალხანა.
- ო, ნეტა, მაინც რა ურჩია ყველაზე ბრძნული?
- რა ურჩია და თავის თავის მრჩევლად აყვანა!

* * *

წუხელის ძილში გაპარულა ვეზირთ-ვეზირი,
- გაპარულაო? არ ყოფილა სულ მთლად უიღბლო.
იგი ისეთი ბრძენი იყო და შებერტყილი,
არ შეიძლება ცუდ ადგილას გაპარულიყო!

### ივანე კალიტა

*მოსკოვის მთავარი ივანე კალიტა მონღოლთა მიერ დაკისრებულ ხარკს თვითონ კრებდა და დიდძალი სიმდიდრე დააგროვა. „კალიტა“ ფულის ტომარას ნიშნავს.*

ივან დანილიჩ, ღდინგაცლილო ქვეყნის მსახურო,
რა ბოროტია ეს მშიერი ბრბო ყარტა-ყურტა.
როგორ შეგრაცხათ ფულის ტომრად და პირველ
ქურდად?!
მომე, გეთაყვა, თქვენი ქუდი მონომახური,
დღეს ჰონორარი ავიღე და ჩაგიყრით ხურდას.

### ვივა!

ვივა აკადემიებს - გუშინდელს თუ დღევანდელს.
ვივა სიბრძნის კელაპტრებს - იყალთოებს, გელათებს.
- ვივა, აკადემია!
- ვივა, პროფესორე!
- სორე არისტოტელე, ან პლატონი სორე?

### ერთი მგოსანი

*„ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“*
რენე დეკარტი

ისე უცხოა მისთვის აზრი - ეს სიბრძნის ენა...
(მოდით, სათქმელი ვთქვათ პირდაპირ და
მართებულად):
იგი არათუ არ არსებობს, ბატონო რენე,
ალბათ არც უნდა ჩაითვალოს დაბადებულად.

* * *

ამ ახალ ვეზირს ცხრა ჭიპი აქვს მგონი მოჭრილი...
ჰო, ჰო! რამხელა ერთგულების მართავს მასკარადს.
- მეფევ, ეგ თქვენი დიდვეზირი და ყმა მორჩილი
სხვა მეფეებთან ყმაც იყო და ტაკიმასხარაც.

* * *

ეს კაცი მართლაც საკუთარი თავის ძეგლია,
სულაც არ უჭირს გვირგვინის თუ ნილბის ტარება...
ღმერთმა შეარგოს! ძეგლი იყოს, რაკი ეგრეა,
ოღონდაც, ძმებო, ჩვენ ნუ ჩაგვთვლის პედესტალებად.

* * *

აღარ მარხულობს ახლა,
აღარც სინდისი ქენჯნის.
უწინ იყრიდა მახათს,
ახლა იყარა კენჭი.
ისე ძვირი ხარ, მახათო,
ისე იაფი, კენჭო, -
მთავრობის კაცად გახადეთ,
ვის კაცობაზეც ვეჭვობთ.

### ეპიგრამები „ცხრათავიან დევზე“

ცხრა ქუდი გხურავს და ხარ გულდიდად,
ხელმწიფის კარზე ტუზი ხარ კიკო,
მაგრამ ვერ ვიტყვი მაგ ცხრა ქუდიდან
თუნდაც ერთ-ერთი ნამუსის იყოს.

* * *

თქვენზე ამბობენ, ლექსებს წერთ თითქოს,
ფსალმუნში ბაძავთ ბიბლიურ დავითს.
ნება მომეცით, კოლეგა, გკითხოთ:
ცალი თავით წერთ თუ ცხრავე თავით?
რვა თავი სდუმდეს - არის ერესი
და ერთით წერდეთ - ვერ დავიჯერებ.
ვგიჟდები, ისე მაინტერესებს,
რანაირია ცხრაგზის სიშტერე!

* * *

ცხრა პირიანი, ცხრა თავიანი,
ცხრა ენით ცხრა პირს უცვლი კილოკავს.
ხალხი კი ამბობს, ეს შურიანი,
თითქოს სრულიად უცხვირპირო ხარ.

### ვირი

*არ არის ციხე, რომლის აღებაც ოქროთი დატვირთულმა ვირმა ვერ შეძლოს.*
ფილიპე მაკედონელი

მაკედონიის მბრძანებელო, ვირი ვირია,
მაგრამ ქართული მაინც სხვაა, სხვანაირია.
მეფევ, თქვენ ამბობთ სახედარზე სიმართლეს
ძირძველს,
მე კიდე - ოქროს მოყვარულზე - ორფეხა ვირზე.
ამ ვირმა ომში იარაღი ქაჯებს მიჰყიდა...
ამ იარაღით ეს მუტრუკი ტყვედ იგდებს ქაჯთა.
ამ ვირიშვილის გამოსყიდვა ქაჯთა ციხიდან
მეფევ ბატონო, ვირის წონა დოლარი დაჯდა.
ამ ვირს, მეფეო, (იმიტომ ვარ გულშემოყრილი):
აქ ოქრო დარჩა...
აფხაზეთში დარჩა ყროყინი...

* * *

ეჰ, მოსამართლევ, გეშინოდეს - ცაში ღმერთია,
უსამართლობას არ შეგარჩენს კეთილი მწყემსი.
აქლემისა და ნემსის ქურდი თუკი ერთია,
ქრთამად რაღა სულ აქლემს ითხოვ? აიღე ნემსი!

### მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი

- მეფეს - გვირგვინი! ღმერთს - სანთელი! მტერს
კიდე - ხიშტი!
- ხალხს რაღა?
- რა და ფოკუსები ან სულაც ხვიშტი!

### პოეტური სიყვარული

ბევრი და ბევრი ერთმანეთთან ვერა ვართ ძმურად...
ბევრს კიდე ვნათლავთ არარად და ნაყარ-ნუყარად,
ვისაც ვუყვარვარ, ჩემდა ჭირად, იმასვე ვძულვარ —
და ვისაც ვძულვარ, მისდა ჭირად, იმას ვუყვარვარ.

### საუკუნის ბინადარი

ცხრა სასჯელი მოიხადა და ცხრა ტყავიც გახადეს,
ცხრაჯერ რწმენაც შეუცვალეს - ცხრა ხატი და
სახატე.
ლუკმა-პური რომ იშოვოს, სულიც შერჩეს საკუთრივ,
ცხრაჯერ გამძვრალ ცხრა ტყავისგან შეიკერა
ცხრა კუდი.

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე, აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

*1. ფინანსები და კრედიტი*

(სპეციალიზაციები: საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, სახელმწიფო ბიუჯეტი, საბაჟო საქმე, სადაზღვევო საქმე).

*2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები*

(სპეციალობები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები).

*3. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი*

*4. წარმოების ეკონომიკა და მართვა*

(სპეციალიზაციები: მარკეტინგი, მენეჯმენტი)

*5. საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა*

(ინგლისური, გერმანული, თურქული ენები)

*6. ჟურნალისტიკა*

(სპეციალიზაციები: ჟურნალისტ-სოციოლოგი, ეკონომიკური მიმომხილველი, პოლიტიკური მიმომხილველი, სპორტული ჟურნალისტი)

*7. ისტორია*

*8. ქართული ენა და ლიტერატურა*

ინსტიტუტის რექტორია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა.

ინსტიტუტში სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება რექტორის სახელზე; 2. საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086).

4. ოთხი ფოტოსურათი (3X4).

საბუთები მიიღება 15 დეკემბრიდან 1997 წლის 15 იანვრამდე; 15-დან 17 იანვრამდე მოეწყობა გასაუბრება. სწავლა დაიწყება 20 იანვრიდან.

ინსტიტუტში მოქმედებს სწავლების ორსაფეხურიანი სისტემა. კურსდამთავრებულები მიიღებენ ბაკალავრის წოდებას, ხოლო განსაკუთრებული ნიჭისა და სამეცნიერო საქმიანობაში ჩაბმული სტუდენტები სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხებიან მაგისტრატურაში.

ინსტიტუტში მე-3 კურსზე ჩაირიცხებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებმაც დამატებით უნდა წარმოადგინონ უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და დანართი.

სწავლის საფასური ყველა სპეციალობაზე შეადგენს 200 ლარს (იძულებით გადაადგილებული პირები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 70 პროცენტს).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ყოველი ჯგუფიდან ერთი წარჩინებული სტუდენტი, სტუდენტთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გათავისუფლდება სწავლის გადასახადისგან და დაენიშნება სტიპენდია.

სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან შესაბამის სპეციალობებსა და კურსზე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ.თბილისი, პუშკინის ქ. 5 (III სართული). ცნობებისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 99-60-20, 99-59-09, 93-14-36

**ინსტიტუტის მიმღები კომისია**

## კაიფვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 6. დიდროს მამის მიერ იაპონიაში დათრეული ათაშანგის ეპითეტი (ნ.დუმბაძე); 8. 1994 წლის ყველაზე ბედნიერი კაპიტანი; 10. სახაროვის არამკითხე დანატოვარი; 11. ადგილი, სადაც თუ არ გინდა, ქვას ვერ შეამჩნევ; 12. ხანდაგვიანებული სტუმარი (ფოლკ-რი); 13. ბელურების გადაფრენის ორგანიზატორი; 14. დაახლოებით 30 გ. ძველ რუსეთში; 16. კავშირი რაიმე საწინააღმდეგოს სათქმელად; 18. ცეცხლმოკიდებული ქუდის პატრონი; 19. აშშ-ს შტატგარეშე დასახლებული პუნქტი; 22. ხილი, რომელსაც დიდყურა ვერ აფასებს; 24. ბ.ოკუჯავას საყვარელი ქუჩა; 27. ინგლისური მეტრი; 31. პირშიშველა მოყმის „იმპორტული“ ამუნიცია; 32. ჟან კლოდ ვანდამი, ჟან ლუი ტრენტინიანი, ჟან პოლ...; 33. ნეტოს სამოსი; 34. ხმლის გაგრძელება; 35. სარეპერტუარო სიგნალი; 36. ულრუბლო, ანუ... დღე.

შვეულად: 1. უმაღლესი სასჯელი, რომელსაც ნაწილი ეთანხმება, ნაწილი კი პროტესტს გამოთქვამს ხმის ჩახლეჩამდე; 2. არა მაინცდამაინც სიმღერით განთქმული, ან შლაგებნაჩვევი ქალბატონი; 3. სამი საყოველთაოდ ცნობილი უცნობის მშობლიური გარემო; 4. სიგრძეზე ხტომის ავსტრალიელი რეკორდსმენი; 5. ბუტანის ღვიძლი ძმა; 7. განთქმული სიმღერის ქალაქი და პროვინცია ესპანეთში; 9. ნახევარი მარსი; 10. ვახტანგი; 15. ორსაფეხურიანი ძალოსნური ილეთი; 16. გადაცემის ერთ-ერთი სახე; 17. ყვავ-ყორნის მენიუ; 18. სახახუნო იარაღი; 20. პერიოდიკისათვის დამახასიათებელი თავი-მუდმივა; 21. „ფირმა“ ფორმა; 23. კუბური „ზამთრის სასახლე“; 25. ფიგურალური სამოსი; 26. ქიზიყის სამარკო სოფელი; 28. მამაკაცური სილამაზის ეტალონი; 29. საქმეში ჩაფვლის ხატოვანი ზღვარი; 30. ამ საუკუნის დიდი შეხვედრის მდინარე.

### წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 6. ინსტრუმენტი; 8. მერიდიანი; 10. პარაბოლა; 11. ოშოშია; 13. რაბინი; 15. კარიესი; 16. სტატია; 17. ნევა; 18. სვირინგი; 20. აქსიომა; 22. ნიორი; 25. ტამტამი; 26. ავაზა; 31. ბერიკაობა; 34. საფერავი; 35. სიგარეტი; 36. ნოინი; 37. სურავანდი.

შვეულად: 1. ატრაქციონი; 2. კურორტი; 3. არსენა; 4. იდიოტი; 5. ვარცლი; 6. იმპერიალი; 7. ტოტო; 8. მაია; 3. ილუმენია; 12. რემარკი; 13. როსინანტი; 14. ბრავისიმო; 19. რომანი; 21. არმანიაკი; 23. სტალონე; 24. ურალი; 27. არსენალი; 28. სევილია; 29. ნეონი; 30. ჰაშიში; 31. ბარი; 32. იზიდა; 33. ბიგუდი.

## კროსვორდი



თარაზულად: 5. ძველებური ფეხსაცმელი; 6. მეტისმეტად ულამაზო, მახინჯი; 7. ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 8. სიმებიანი საკრავის ყელზე სიგრძივ დაკრული დანაყოფებიანი ფირფიტა; 10. ოლქი უზბეკეთში; 12. ჯარის საუკეთესო ნაწილი; 13. კნოპი, ანუ... 17. უნგრეთის ფაშისტი დიქტატორი; 18. ელენე ყიფშიძის სცენური სახე სპექტაკლში „ჩემი ეიფელის კოშკი“; 19. კონსტანტინე გამსახურდიას გამდელი, რომელიც მომავალ მწერალს რელიგიურ მოწიწებასა და ღვთისმოსაობას უნერგავდა; 20. სახის ნაწილი; 21. ქართული (მეგრული) ხალხური ცეკვა სახუმარო შაირების თანხლებით; 24. გვარის მეთაური ან სოფლის მამასახლისი არაბულ ქვეყნებში; 25. ძველად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სიმღერა გუთნისდედისა და მეხრეებისა; 26. რუსი პოეტი; 27. თვითმფრინავის ფრთის ან კუდის ფრთასხმულობის ვიბრაცია, თავისით წარმოქმნილი; 30. თევზის სახეობა; 31. ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება; 32. გივი ბერიკაშვილის სცენური სახე; 33. მრავალი ქართული სიმღერის ავტორისა და ცნობილი მხატვრის ჯუმბერ ჯანდიერის ვაჟი, ახალგაზრდა ქართველი მხატვარი.

შვეულად: 1. ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებულება; 2. ცილოვანი ნივთიერება, სისხლის პლაზმის შემადგენელი ნაწილი; 3. შეძახილი (ჰეი!) აშშ-სა და ინგლისში; 4. მეჯვარე, ხელისმომკიდე მოხევეებში; 9. სპეციალისტი იმ მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში; 11. ავტორი ქანდაკებისა „კიდევაც დაიზრდებიან“... 14. ქართველი მხატვარი, ბზაზე, ძვალზე, ბროლზე კვეთილობის დიდოსტატთაგანი; 15. მდინარე საქართველოში; 16. კისერი (გურულ დიალექტზე); 22. მოხევე, ხევის ისტორიისა და კავკასიურ ენათა ჩინებული მცოდნე – ილიასეული ლელთ ღუნიას პროტოტიპი; 23. სახელმძღვანელო მითითებათა მიცემა; 28. თენგიზ ჩანტლაძის სცენური სახე; 29. მასალის ნაწილი საანალიზოდ, გამოსაცდელად აღებული.

გ.გასიტაშვილი

### წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. სოხაძე; 7. ევერესტი; 9. საშვი; 11. მუჰაჯირი; 13. კარტი; 14. ინიექცია; 17. შტორი; 18. ფალია; 19. სადიზმი; 20. ყეენობა; 22. პანორამა. 23. შოკოლადი; 25. გეიზერი; 26. ლავანდა; 27. აგული; 30. გროგი; 33. პოინტერი; 35. ზენი; 36. ანდეზიტი; 37. ნო-შპა; 38. ფირდოუსი; 39. ირტიში.

შვეულად: 1. გენშერი; 2. იქედნე; 4. ხარჯი; 5. ეკლიპტიკა; 6. ტიკინა; 8. ტომა; 9. სუკარნო; 10. ტიპი; 12. ჰაიზენბერგი; 15. ციხესაშვილი; 16. ადეპტი; 21. ორიონი; 23. შლაგბაუმი; 24. ბარვიხა; 28. გოია; 29. ლოზანა; 31. პირშავი; 32. ზევსი; 33. პერი; 34. ტარული.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444